# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№101-102 (10104-10105) 2026 წლის 3 აგვისტო, ორშაბათი





# ვინ გაგვწმენდს ბალღამისა და წუნწუხისგან?!

იხ. 4 გვ.

⑥



## შენგელი ფიცხელაური

### ჩემპიონის ხასიათი, მეცნიერის აზროვნება



⑦

## ლობიზმის ჭაობში

### ვინ დგას ჯო უილსონის აქტიურობის უკან?

⑩

## ვინ არის



## ემი დიაზი

### და რას ელის ქართული მხარე ვაშინგტონისგან

ბესარიონ კილასონია



⑧

## პორტრეტი

### ნიკოლოზ ბარათაშვილისა

## არც უეფაა უცოდველი კრავი ⑭

⑪



## ამერიკისთვის ირანი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა

## ხვიჩა კვარაცხელია ოქროს ბურთის მოგების მთავარი კანდიდატია

პოპულარულმა **ფრანგულმა გამოცემამ „ლ'ეკიპმა“ ხვიჩა კვარაცხელიას** ფოტო ჟურნალის გარეკანზე გამოიტანა და ქართველი თავდამსხმელი ოქროს ბურთის მოგების მთავარ პრეტენდენტად დაასახელა.

**„დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე თავი განსაკუთრებულად არცერთ ფეხბურთელს არ გამოუჩენია. შესაბამისად, „პარი სენ-ჟერმენის“ ქართველი თავდამსხმელი და ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე ხვიჩა კვარაცხელია, ლიგაში ჩატარებული არაჩვეულებრივი სეზონიდან გამომდინარე, ჯილდოს მოგების მთავარი პრეტენდენტია“**

ოქროს ბურთის რიგით 70-ე დაჯილდოების ცერემონია 26 ოქტომბერს ლონდონში გაიმართება.




ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE





# სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ ბეშუმში

**გუშინ, კურორტ ბეშუმში სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ აღნიშნეს. ღონისძიების ფარგლებში მთელი დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები.**

ადგილზე მოეწყო საგამოფენო და სპორტული აქტივობები, კვების სივრცეები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, სპეციალური ინსტალაციები და ფოტოზონები, საზაფხულო ატრაქციები და დეკორაციები. დაჯილდოვდნენ საპატიო ხულოელები.



### მიხეილ ყაველაშვილი:

# შუამთობამ ჩვენი ეროვნული იდენტობა საუკუნეების განმავლობაში შემოინახა

**შუამთობა დღესასწაულია, სადაც ნათლად ჩანს ქართველი ადამიანის ხასიათი, კულტურა და ის ფასეულობები, რომლებმაც ჩვენი ეროვნული იდენტობა საუკუნეების განმავლობაში შემოინახა.**

შუამთობა სხვადასხვა თაობის ადამიანებს აერთიანებს და არის ადგილი, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ, უკეთ გაეცნონ კულტურულ მემკვიდრეობასა და ტრადიციებს, რომლებზეც ქართული საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა.

### ირაკლი კობახიძე:

# მინდა, წელსაც დაგპირდეთ, რომ მაღალმთიან აჭარას ზრუნვა არ მოაკლდება!

**გილოცავთ ყველას შუამთობას, რომელიც არის გამორჩეული დღესასწაული არა მარტო აჭარისთვის, მაღალმთიანი აჭარისთვის, არამედ, სრულიად საქართველოსთვის და თითოეული ჩვენგანისთვის,** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ბეშუმში, „შუამთობის“ სახალხო დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლისას.

მთავრობის მეთაურის თქმით, მაღალმთიანი აჭარა გამორჩეულია თავისი განსაკუთრებული ბუნებით, კულტურით და ტრადიციებით.

**„მიხარია, რომ ყოველ წელს ასეთი სიხარულით ხვდება როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ყველა სტუმარი ამ დღესასწაულს. გილოცავთ ყველას შუამთობას, რომელიც არის გამორჩეული დღესასწაული არა მარტო აჭარისთვის, მაღალმთიანი აჭარისთვის, არამედ, სრულიად საქართველოსთვის და თითოეული ჩვენგანისთვის. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ სიყვარულისთვის, რომელსაც სტუმრებს უზიარებთ ყოველ ჯერზე, როდესაც ჩვენ ამოვდივართ მაღალმთიან აჭარაში. ეს კუთხე გამორჩეულია ყველა თვალსაზრისით, თავისი განსაკუთრებული ბუნებით, კულტურით, ტრადიციებით და მდიდარია ყველა თვალსაზრისით. მთავარი სიმდიდრე ამ კუთხის არის ხალხი, ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ნიჭი, გაუზიაროს ადამიანებს სიყვარული, სიხარული და ეს არის, რასაც ყოველ ჯერზე ვგრძნობთ. მინდა წელსაც დაგპირდეთ, რომ მაღალმთიან აჭარას არ მოაკლდება ზრუნვა. რეგიონი ვითარდება წლიდან წლამდე, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი და ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა. მთავრობის სახელით მინდა დაგპირდეთ, რომ არ მოვაკლებთ ზრუნვას ამ არაჩვეულებრივ რეგიონს და არაჩვეულებრივ ხალხს“** – განაცხადა პრემიერმა.



მომავალი ნავსადგურის საზღვაო აკვატორიაში პირველი დამღრმავებელი გემი (TRISTAO DA CUNHA) შემოვიდა

# ანაკლიის ღრმაწყლოვან ნავსადგურში ფსკერის დაღრმავების სამუშაოები იწყება!

**ანაკლიის ღრმაწყლოვან ნავსადგურში ფსკერის დაღრმავების სამუშაოები იწყება – მომავალი პორტის საზღვაო აკვატორიაში პირველი დამღრმავებელი გემი (Tristao Da Cunha) შემოვიდა.**

კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ, გემი მუშაობას დაიწყებს ტალღმტეხის არხის მოწყობის მიზნით.

ანაკლიაში ზღვის აკვატორიაში ფსკერი 17,5 მეტრამდე დაღრმავდება, შემდგომ ეტაპზე კი 1,380 მეტრის სიგრძის ტალღმტეხი აშენდება. აღნიშნული სამუშაოები წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით ხორციელდება. მომავალი პორტის საზღვაო აკვატორიაში აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული ბელგიური კომპანია, ე.წ. „დიდი ოთხეულის“ წევრი Jan De Nul N.V. (ian de nul en vi) ქართველ პარტნიორებთან ერთად ახორციელებს.

**აღსანიშნავია, რომ საპორტო ინფრასტრუქტურის შექმნასთან ერთად, მთავრობა უზრუნველყოფს ანაკლიამდე მისასვლელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის – საავტომობილო გზისა და რკინიგზის მოწყობას.**




# „ჩემით ყარს საქართველო!“

**„ნანუკა ჟორჟოლიანმა ნაცი და ნაცმიდრეკილი ქალების შეკრება გამართა, სადაც გახსნილად გამოაცხადა კამპანია „მე მიყვარს საქართველო“.**

**თუმცა, რესტორან „წინიას ბაღში“ გამართულ ქალთა თავყრილობაზე ისეთი სახეები გამოჩნდნენ, თავად ერეკლე კოდუას ყოფილი ცოლით დაწყებული და ბაჩანა ახალაიას მოქმედი ცოლით დამთავრებული (მარიზი ანთილიყოსა და ეკა უხერხულიძეზე არაფერს ვამბობ) ნანუკა ჟორჟოლიანის მიერ წამოწყებულ კამპანიას „მე მიყვარს საქართველო“ კი არა, „ჩემით ყარს საქართველო“ უნდა ერქვას.“**

ჯაბა ხუბუა. „იმედინიუსი“.

# უკრაინისთვის რკინის გუმბათის სისტემის გადაცემა ბენიამინ ნეთანიაჰუმ დაბლოკა

**Washington Post-ის ცნობით, უკრაინისთვის რკინის გუმბათის სისტემის გადაცემა ბენიამინ ნეთანიაჰუმ დაბლოკა. საქმე ეხება შეერთებული შტატების არმიის კუთვნილებაში არსებულ, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ორ ბატარეას, რომლის კიევისთვის გადაცემის ინიციატორი რესპუბლიკელი სენატორი ლინდსი გრემი იყო.**

**გამოცემა წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ ინიციატივაზე ვეტოს დადება ისრაელის პრემიერმა ტექნოლოგიის ირანის ხელში მოხვედრის რისკით განმარტა. გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ სისტემა ამერიკული ფულით არის შეძენილი, თუმცა ის შტატებთან ერთად ისრაელის მიერაა შემუშავებული, რის გამოც ვაშინგტონს გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ისრაელის თანხმობის გარეშე არ შეუძლია.**



# რეფორმა მუდამ მტკივნეულია!



**გივი მიქანაძე:**

**ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს მაღალი აკადემიური მოსწრებაა საჭირო 100%-იანი დაფინანსებისთვის. სტუდენტმა თითოეულ საგანში უნდა გადალახოს 51%-იანი, მინიმალური ნიშნული**

# გვაცალეთ ბატონო, გვაცალეთ!

**გასული დღეების განმავლობაში კონკრეტული ჯგუფების და ადამიანების მხრიდან დეზინფორმაციულად ვრცელდებოდა გარკვეული სახის არასწორი ინფორმაცია, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებაში დაბნეულობის შეტანას და არასწორი აღქმების შექმნას, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დეტალურად განვუმარტოთ საზოგადოებას, რას მოიცავს სტუდენტისთვის დაფინანსების ახალი მოდელი,** „ამის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი **გივი მიქანაძემ** განაცხადა.

მისი განმარტებით, ახალი მოდელის თანახმად, პირველი ორი სემესტრი სახელმწიფოს მხრიდან სწავლა სრულად ფინანსდება, თუმცა პირველი ორი სემესტრის განმავლობაში უკვე სტუდენტმა უნდა უზრუნველყოს, დააგროვოს დადგენილი კრედიტების, მინიმუმ, 80%, რათა მესამე სემესტრში მოიპოვოს სახელმწიფოს მხრიდან 100%-იანი დაფინანსება.

**„ორი დღის წინ მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. ეს არის სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსების ახალი მოდელი, რომელმაც ახლებურად, გაუმჯობესებულად განსაზღვრა სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის 2027 წლიდან, როგორ უნდა განხორციელდეს დაფინანსება. ამასთანავე, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ გასული წლის დეკემბერში „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ, მისმა საპატიო თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ძალიან დიდი ძალისხმევით და გადაწყვეტილებით მხარი დაუჭირეს 2026-2027 სასწავლო წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტებისთვის უფასო სწავლის შემოღებას. უფასო სწავლასთან დაკავშირებით ეს წესი ასევე გაიწერა იმ დადგენილებაში, რომელიც მთავრობამ ორიოდე დღის წინ დაამტკიცა.**

**ჩვენ ვნახეთ, რომ გასული ორი დღის განმავლობაში კონკრეტული ჯგუფების და ადამიანების მხრიდან დეზინფორმაციულად ვრცელდებოდა გარკვეული სახის არასწორი ინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებაში დაბნეულობის შეტანას და საზოგადოებისთვის არასწორი აღქმების შექმნას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დეტალურად განვუმარტოთ საზოგადოებას, რას მოიცავს დაფინანსების ეს მოდელი თითოეული იმ სტუდენტისთვის, რომლებიც უკვე დასრულებული ეროვნული გამოცდების შედეგად სექტემბრიდან სწავლას დაიწყებენ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში.**

**ამ მოდელის თანახმად, პირველი ორი სემესტრი სახელმწიფოს მხრიდან სრულად ფინანსდება, ანუ სტუდენტს და მის ოჯახს არ უწევს არაფრის გადახდა სწავლაში, პირველი ორი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ სრულიად უფასოდ, მაგრამ პირველი ორი სემესტრის განმავლობაში უკვე სტუდენტმა უნდა უზრუნველყოს, დააგროვოს დადგენილი კრედიტების, მინიმუმ, 80%, რათა მესამე სემესტრში მოიპოვოს ასევე სახელმწიფოს მხრიდან 100%-იანი დაფინანსება. შემდგომში უკვე ყოველ სემესტრზე გავრცელდება ანალოგიური პრინციპი გამომდინარე იქიდან, რომ დაგროვილი კრედიტების მიხედვით, თუკი 80% ან მეტია ყოველ სემესტრში, სტუდენტი შემდეგ სემესტრზე მოიპოვებს უფასო სწავლის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი 80%-ს ვერ დააგროვებს, ასეთ მოცემულობაში სახელმწიფო მაინც შემოდის წილობრივ დაფინანსებაში და მიუხედავად იმისა, რომ იყო თავდაპირველად სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებიდან რეკომენდებული, რომ დაახლოებით 15%-ზე ყოფილიყო სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რაც ამ დადგენილებაში უკვე სამართლებრივი კუთხით აისახა და სახელმწიფო იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი საკმარისი რაოდენობის კრედიტებს ვერ დააგროვებს, რომ 100%-იანი დაფინანსება მოიპოვოს შემდეგი სემესტრისთვის, სახელმწიფო ამ შემთხვევაში 50%-ს დააფინანსებს. თუმცა, ამავდროულად, სტუდენტს ეძლევა საშუალება, შემდეგ სემესტრში მან დამატებითი საგნები აიღოს და მიიღოს იმ კრედიტების რაოდენობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, უკვე მომავალი შემდეგი სემესტრიდან კვლავ აღიდგინოს სახელმწიფოს მხრიდან 100%-იანი დაფინანსება“,** – აღნიშნა **მიქანაძე.**

მისივე თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, რომ მაღალი აკადემიური მოსწრებაა საჭირო სახელმწიფოს 100%-იანი დაფინანსების მისაღებად.

**„ამასთანავე, ვრცელდება სრულიად დეზინფორმაციული ხასიათის მოცემულობა კონკრეტული პირებისგან, რომ თურმე საჭიროა მაღალი აკადემიური მოსწრება, რათა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან 100%-იანი დაფინანსება, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. სტუდენტმა თითოეულ საგანში უნდა გადალახოს 51%-იანი ნიშნული, ანუ მინიმალური ცოდნა და მინიმალური უნარები უნდა აჩვენოს თითოეულ საგანში, რომ მას კრედიტი დაუფიქსირდეს და ამ შემთხვევაში მას უკვე კრედიტი უფიქსირდება, არა აქვს მნიშვნელობა ეს არის მაღალი ქულებით მოპოვებული კრედიტი თუ დაბალი ქულებით და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ მხარდაჭერას.**

**აღნიშნული მოდელი შემუშავდა ძალიან აქტიური თანამშრომლობით მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან, სადაც გამოყენებული იქნა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მოდელები. მმართველმა გუნდმა როდესაც მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, 100%-ით დაგვეფინანსებინა სასწავლო პროცესი უმაღლეს სასწავლებლებში, ჩვენ გავიზიარეთ მოდელი, რაც იმ ქვეყნებშია, სადაც ანალოგიურად ხდება სახელმწიფოს მხრიდან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაფინანსება, რომ გარკვეული ეტაპის შემდეგ ეს უნდა იყოს სასწავლო პროცესის შედეგებზე დაფუძნებული მოცემულობა. სწორედ ამიტომ არის 80%-იანი მოცემულობა, რაც აბსოლუტურად შესაბამისობაშია პრაქტიკასთან, რომელიც იმ ქვეყნებში არსებობს, სადაც სახელმწიფო აფინანსებს სასწავლო პროცესს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან ეს პროცესი აღიქმება, როგორც უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერა თითოეული იმ ადამიანისთვის, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე 2026-27 სასწავლო წლიდან ჩაირიცხება, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს განათლების ხელმისაწვდომობა და თითოეული ჩვენი ახალგაზრდის მხარდაჭერა, რომ მათი სწავლა, შრომა და მიზანდასახულობა მაქსიმალურად დაფასდეს“,** – აღნიშნა **მიქანაძემ.**

რაც შეეხება მობილობის შემთხვევაში დაფინანსებას, როგორც მიქანაძემ განმარტა, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასვლისას, სტუდენტს მოპოვებული დაფინანსება გაუგრძელდება, კერძო უნივერსიტეტში კი – არა.

**„სტუდენტი თუ გადადის სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობით, ასეთ მოცემულობაში მას დაგროვილი კრედიტებიდან გამომდინარე, შესაბამისი სწავლის დაფინანსების სქემა გადაჰყვება, ანუ, თუ 80 პროცენტი და მეტი აქვს, სადაც გადავა იქაც უფასოდ ისწავლის, თუ 80%-ზე ნაკლები აქვს, ამ შემთხვევაში 50 პროცენტი იქნება. თუმცა, იქაც ექნება შემდეგ სემესტრში გაუმჯობესების შესაძლებლობა. მობილობით თუ გადავიდა კერძო უნივერსიტეტში, იქ დაფინანსება აღარ ექნება, რადგან, იცით, რომ კერძო უნივერსიტეტის დაფინანსება ახალი მოდელით არ არის გათვალისწინებული“,** – განაცხადა **მიქანაძემ.**

# ჯანდაცვის სამინისტრო დიუშენის კუნთოვანი დისტროფიის მქონე პაციენტებისთვის ჯივინოსტატს შეიძენს

**ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მედიკამენტის მწარმოებელ კომპანია იტალფარმაკოსთან ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. სამინისტრომ პრეპარატი მართული შესვლის შეთანხმების (MEA) მექანიზმით შეიძინა და მისი მოწოდება საქართველოში უახლოეს პერიოდში დაიწყება. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელიც შეიძენს ამ მედიკამენტს და შეიტანს მას დაავადების მართვის სახელმწიფო პროგრამაში.**

მედიკამენტი განკუთვნილია გადაადგილების უნარის მქონე დიუშენის კუნთოვანი დისტროფიის მქონე პაციენტებისთვის 6 წლის ასაკიდან.

ჯივინოსტატი ერთ-ერთი ყველაზე მეტად მოთხოვნადი მედიკამენტია, რომლის თაობაზეც, დასაწყისიდანვე, სამინისტრო იმედიანად იყო განწყობილი, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა.

ჯანდაცვის სამინისტრომ კომპანია იტალფარმაკოსთან მოლაპარაკებები ინტენსიურ რეჟიმში წარმართა და შეთანხმებას მოკლე ვადაში მიაღწია. სამინისტრო აფასებს კომპანია იტალფარმაკოს ოპერატიულობასა და თანამშრომლობის მაღალ ხარისხს, რამაც შეთანხმების დროულად გაფორმება შესაძლებელი გახადა.




იტალფარმაკოს აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობამ და პრეპარატის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართ გამოჩენილმა მზაობამ დაადასტურა, რომ პაციენტების, სახელმწიფოსა და ინდუსტრიის ერთობლივი ძალისხმევა მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას უწყობს ხელს.

**„გასული კვირის განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობდით, რათა გვეპოვა გზა, რომელიც დიუშენის კუნთოვანი დისტროფიის მქონე პაციენტებისთვის საქართველოში ჯივინოსტატის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.**

**განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამინისტროს ერთგულებამ და მტკიცე სურვილმა, რომ ჯივინოსტატი საქართველოს პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. ეს შეთანხმება პარტნიორობის ძალას ნათლად აჩვენებს. როდესაც პაციენტები, სახელმწიფო და ინდუსტრია ერთიანდებიან, შეუძლებელი არაფერია და სწორედ პაციენტი ხდება ყველა ძალისხმევის მთავარი ცენტრი. ამ თანამშრომლობით ნამდვილად ვამაყობ და საქართველოს მთავრობასთან და პაციენტთა საზოგადოებასთან ერთად მუშაობას გავაგრძელებთ, რათა ეს შესაძლებლობა ყველა პაციენტამდე მივიდეს“,** – განაცხადა იტალფარმაკო ჯგუფის აღმასრულებელმა დირექტორმა **ფრანჩესკო დი მარკომ.**

ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს იშვიათი ნერვ-კუნთოვანი დაავადებების მქონე პაციენტებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერებაზე. **დიუშენის კუნთოვანი დისტროფიის მქონე პირებისთვის გაფართოებულია სამედიცინო მომსახურების პაკეტი, რომელიც მოიცავს მულტიდისციპლინურ მეთვალყურეობას, სპეციალისტების კონსულტაციებს, დაავადების მართვისთვის აუცილებელ კლინიკურ-ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ კვლევებს და სხვა საჭირო სერვისებს.**




# ვინ გაგვწმენდს ბალღამისა და წუნწუხისგან?!

## ტყვილი, ტყვილი და პირში პაპიროზი...

აირია ქვეყანა. ხალხი ორად არის გაყოფილი და ერთმანეთს ებრძვის. ებრძვის არა ფარულად, არამედ აშკარად. ეგზალტირებული ჯგუფები დროშებითა და უწმაწური პლაკატებით დაეხეტებიან და გიგლსა და სიძულვილს თესენ. ეს პროცესი დღითი დღე უფრო და უფრო ვრცელდება. თვალშისაცემია ქალბატონების სიმრავლე, სწორედ მათი შესრულებით არის „ოლე-ოლა“ განსაკუთრებით შემზარავი. აი, სულ ბოლო ფაქტი.



**ამ დღეებში პოლიციამ დედაქალაქის საკრებულოსთან დააკავა აქტივისტი თორნიკე თოშხუა, რომელსაც ხელში ეკავა პლაკატი წარწერით „ბიძინა ყ.ეა. ჰო თუ არა?“ მას სოლიდარობა გამოუცხადა 10-მდე ადამიანმა, რომლებიც პოლიციამ ასევე დააკავა. მათ შორის იყო ახალგაზრდა ქალი მარიამ მეყანწიშვილი, მცირეწლოვანი ბავშვის დედა, რომელიც პლაკატზე დაწერილს ახმოვანებდა. ის კი არა, გეჯითად იმეორებდა მაშინაც, როცა პოლიცია მანქანაში სვამდა...**

მომდევნო დღეს ასევე სოლიდარობის გამოსახატავად მსგავსწარწერიანი პლაკატით დააკავეს ნოდარ წიწრიაშვილი. შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ყველა დაკავებულს წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას ედავებიან, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა, მათ საჯარო სივრცეში ეკავათ შეურაცხმყოფელი ბანერები, გამოთქვამდნენ შეურაცხმყოფელ ფრაზებს.

ამ ბაქკანალიაში სასიამოვნოდ გასაკვირი იყო ოპოზიციონერი პოლიტიკოსის **ლევან გოგიჩაიშვილის** განცხადება: **„არასდროს მომდომებია ეგეთი ბანერის ხელში დაჭერა. ასეთი მეტყველებით, ასეთი რიტორიკით „ქართული ოცნების“ პროპაგანდა უფრო იკვებება. ქართულ კულტურაში უზრდელობა მიუღებელია. უზრდელი კაცი არ უყვართ, ის არ ითვლება ვაჟკაც ადამიანად. ქართული საზოგადოება არ ცნობს უზრდელ კაცს და ახდენს მის მარგინალიზაციას“.**



სწორს ბრძანებს ბატონი ლევანი, მაგრამ კარგი იქნებოდა ამაზე ლაპარაკი რამდენიმე წლით ადრე დაეწყოთ, სანამ ბოთლიდან ჯინს ამოუშვებდნენ, სანამ „ოლე-ოლას“ მარსელიოზად აქცევდნენ, სანამ რესტორნის სტუმრებს კერძებში ჩაუფურთხებდნენ, სანამ ქუჩაში კუბოს დაწვავდნენ ბიძინა ივანიშვილის ფიტულით, სანამ **მარიზა ანთილიყოს** საზარელ საჯარო წყევლებს მოგვასმენინებდნენ... ის, რაც ოპოზიციას თვითონ უნდა გაეკეთებინა პარლამენტში დებატებით, ქუჩას გადააბარა, ახალგაზრდობის ხელით მოინდომეს ნარის გლეჯა.

იუმორისტმა **ონისე ოქრიაშვილმა** და მისმა გუნდმა ჯერ ყველასთვის საყვარელი მწერალი ნოდარ დუმბაძე მოიხსენია უდიერად, შემდეგ კი შაოსან მოხუცებს დასცინა, რომლებიც ქუჩაში მზესუმზირას ყიდიან...ამაზე საზოგადოებამ სოციალურ ქსელში ერთსულოვნად გამოხატა აღშფოთება. თბილისელმა ახალგაზრდებმა აღშფოთება სხვა სახითაც გამოხატეს. პოდკასტის გასვლიდან ორიოდ დღეში ონისე ოქრიაშვილს დაესხნენ თავს და, როგორც იტყვიან, დაბეთქეს. ერთ-ერთი თავდამსხმელი ნიკოლოზ ხურცილავა თავად გამოცხადდა პოლიციაში.ის თბილისის საქალაქო სასამართლომ 5 ათას ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა.



ონისე ოქრიაშვილის გამოხდომა ბოლო წვეთი აღმოჩნდა. მან პროვოცირება გაუკეთა ახალი მოძრაობის შექმნას. შერეული საბრძოლო ხელოვნების (**MMA**) მებრძოლმა **გიორგი ქართველიშვილმა** მალევე დააანონსა ახალი სახალხო მოძრაობის დაფუძნება ქართული ღირებულებების, ფასეულობებისა და ტრადიციების დაცვის მიზნით. 27 ივლისს გამართულ ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ სახალხო მოძრაობის მიზანია **„უცხოელთაგან დაფინანსებული გარე ინტერესების მონურ მორჩილებაში მყოფი, გაუკუღმართებული იდეოლოგიის მქონე ადამიანებისა და მათგან შემდგარი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა. ყოველივე ქართულზე შეტევა არა ბუნებრივი, არამედ მიზანმიმართულად დაგეგმილი და ხელოვნურად აგორებული პროცესია, რასაც თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში ხშირად უკონტროლო სახე აქვს... ქართველი ხალხისათვის საამაყო წინაპრების, კულტურისა და იდენტობის შეურაცხყოფა, შემდეგ კი აღნიშნული საკითხების აქტიურად განხილვა და მცდელობა, რომ ეს ყველაფერი ჩვენი მოსახლეობისთვის ნორმად იქცეს, იმ ეროვნული ღირებულებების გაუფასურებას ისახავს მიზნად, რომელთა გარშემოც ქართველი ერია გაერთიანებული“.**



გიორგი ქართველიშვილის თქმით, ეს მოძრაობა იქნება ძალიან აქტიური, სოლიდური და მაქსიმალურად კონსტრუქციული, **„მაგრამ თუკი ეროვნული იდენტობის დაცვისთვის იქნება აუცილებელი, არანაირ საფრთხეს არ მოვერიდებით, მზად ვართ თითოეულ ჩვენს ქმედებაზე ვაგოთ პასუხი, საჭიროების შემთხვევაში ციხეშიც კი წავიდეთ“.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მოძრაობის დაანონსებას სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა. მაგალითად, „ქართული ოცნების“ წევრი **არჩილ გორდულაძე** მიესალმა ინიციატივას და განაცხადა: **„კარგია, როცა ადამიანებს აქვთ სურვილი, ხმა აიმაღლონ ქვეყნის კულტურის, რწმენის, ადამიანების უფლებების, ისტორიის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებებზე. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს კანონის დაცვის სრულ ჩარჩოებში“.**

პარლამენტის ვიცე-სპიკერის **ნინო წილოსანის** თქმით, **„ფიზიკური ანგარიშსწორება არ უნდა გახდეს ნორმა, მაგრამ არც იმის სურვილი მაქვს, რომ ყველაფერი „გავატაროთ“. როდესაც ადამიანის ღირსებას ეხები, მზად უნდა იყო, რომ ისინი საკუთარ ღირსებას დაიცავენ. კანონის გარდა არსებობს მორალური და ეთიკური სტანდარტები, რომლის დაცვის უფლება ნამდვილად აქვთ საზოგადოების წევრებს. ამ წლების განმავლობაში თითქოს შეგვაჩვიეს, რომ როდესაც ჩვენს ოჯახებს შეურაცხყოფენ, ჩვენს სიწმინდეებს გადაუვლიან და შებღალავენ, თითქოს არის ნორმა და ახლა რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ეს იუმორის კონკრეტული სახეობაა. რა თქმა უნდა, საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ყველაფერზე სერიოზულად ბრაზდება და ის, რაც ახლა დაანონსდა, ალბათ, მათი ბუნებრივი რეაქცია იყო“.**



რა თქმა უნდა, სრულიად საპირისპირო შეფასება მისცა ამ ფაქტს ოპოზიციურმა სპექტრმა.

**„რასაც ეს საბრალო ბრიყვი აანონსებს, მორალის პოლიტიკა კი არა, მასობრივი ძალადობის და ანგარიშსწორების ინსპირაციაა ფსევდომორალის სახელით“,** – დაწერა **ნიკა გვარამიამ** და ესეც დაამატა: **„პატრონი თუ ჰყავს და მყვარებელი, აუხსნან, რომ ამ „რაზგონით“ მორგში მიდიან და არა ციხეში. როდესაც კიდევ უფრო თავზეხელაღებული, ვინმე „კაი გოგოს ძმა“ ან „კაი ბიჭის შვილი“ 90-იან წლებში გავრცელებულ უბნელეს ფორმულას გაიხსენებს: „სპიცა ღვიძლში“, ბოთლიდან ბნელი 90-იანების უსასტიკესი ჯინის ამოშვებას თუ ცდილობთ, მეხსიერება არ გივარგათ. ყველა მიწაში წევს, ვინც ეგ ბოლოს სცადა“.**

გვარამიას წონასწორობადაკარგულ ტონში შიშიც აშკარაა და მუქარაც, მაგრამ კიდევ უფრო მძიმეა ნაცმოძრაობის პატრიარქის სევდია უგრეხელიძის რეაქცია. მან პირდაპირ საქართველოს კათალიკოს შიო III-ს მიმართა: **„განა ჩვენი ეკლესია მუშტით დაცვას საჭიროებს? განა არ გაქვთ იმდენი ზეგავლენა და ავტორიტეტი, რომ მუშტის გარეშე იყოს დაცული ჩვენი რწმენა, რომელიც აქამდე მოგვიტანია?“**

კაცი იფიქრებს, რომ ამ მოძრაობის ხელდამსხმელი ეკლესიაა, თორემ, საიდან სადაო?! აი, ხელისუფლებას კი სრულიად შეუფარავად ადებს ხელს ქალბატონი სევდია, როგორც ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზატორს: **„როგორც ჩანს, სამართალს უპირებენ ძალადობის ახალ სპირალზე აყვანას. სამწუხაროდ, ჩნდება ეჭვი, რომ ეს სწორედ ხელისუფლების მითითებით ხდება. თუ ეს ხელისუფლების დაკვეთა და მესიჯი არ არის, მაშინ გიორგი ქართველიშვილი საგამოძიებო ორგანოებში უნდა დაიბარონ და განსაზღვრონ, თუ რას გულისხმობს მისი საქმიანობის მიმართულებაში. საქართველოში „გუშაგთა კორპუსის“ შექმნა უნდათ. ალბათ, ტყუილად არ ჰქონდა ირანთან ასეთი ახლო ურთიერთობა ჩვენს ფაქტობრივ ხელისუფლებას“.**

ოპოზიციურმა მედიებმა არ დააყოვნეს და საპატრიარქოსგან მოითხოვეს პასუხი. საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა **ანდრია ჯაღმაიძემ** ჟურნალისტების კითხვის პასუხად, როგორც მოსალოდნელიც იყო, სრულიად ლოგიკური და ჯანსაღი პოზიცია დააფიქსირა: **„ეკლესია ვერ იქნება რაიმე ძალადობის მხარდამჭერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში საეკლესიო სიწმინდეებისადმი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება ბევრჯერ გამოვლინდა, რაზეც მორწმუნე საზოგადოებას გულისტ-**



კივილი არაერთგზის გამოუთქვამს. მნიშვნელოვანია, რომ აზრის გამოთქმის დროს ადამიანებმა შეურაცხყოფა არ მიაყენონ სხვათა ღირსებებსა და სიწმინდეებს. მეორე მხრივ კი, ამა თუ იმ მოძრაობისა თუ კერძო პირის მიერ სიწმინეების და ღირსების დაცვა გამიჯნული უნდა იყოს ყოველგვარი ძალადობის, აგრესიულობისა და კანონის დარღვევისაგან".

საინტერესო ფაქტია, რომ გათავისუფლების შემდეგ ნიკოლოზ ხურცილავას სასამართლოს ეზოში მხარდამჭერები დახვდნენ. მათ შორის იყო ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი შვილიშვილი **ნოდარ მაჭარაშვილი**, რომელსაც, როგორც ჩანს, თავისი დეიდაშვილისგან, ნოდარ დუმბაძის მეორე მოსახელე შვილიშვილის ნოდარ თოფურიძისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს ამ საკითხზე: **„ამათ, რაღაც იუმორისტი და მწერალი რომ ჰგონიათ... კმაყოფილი ვარ გადაწყვეტილებით. ჩემი ოჯახი გვერდით ედგა ნიკა ხურცილავას და დღეს ბედნიერი ვარ სასამართლოს გადაწყვეტილებით“.**



ონისეს ცემის შემდეგ **ნოდარ თოფურიძემ** კი ასეთი რამ დაწერა: **„ბაბუაჩემის სახელით ადამიანის ცემა ან პროვოკატორის ნახელავი უნდა იყოს, ან იდიოტის. ეს არის ჩემი კომენტარი“.**

თავის დროზე ვანო თარხნიშვილიც დათეთქვეს „ოლე-ოლას“ სიმღერის შექმნისთვის, იუმორისტი მიშა ანდღულაძეც გაილახა უგერგილო ხუმრობისთვის და ხომ უნდა მიხვდე კაცი, რომ ყველაფერზე ხუმრობა არ მოსულა.

ეს ამბები – ყველაფერზე ხუმრობა დიდი ხნის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ ლაშა ბუღაძის რომანში „პირველი რუსი“ თამარ მეფისა და მისი პირველი მეუღლის გიორგი რუსის უდიერი მოხსენიებით. შემდეგ იყო ანანია გაჩეჩილაძის მიერ პრეზერვატივებზე თამარის გამოსახვა, მარიამ ღვთისმშობლის გასარჟება გიორგი გაბუნიას გადაცემაში, ღვინის წარწყმედის მუქარა ნიკა გვარამიას მიერ...

**ჰოდა, ამოვიდა ყელში...**

**ახალი მოძრაობა უკვე დარეგისტრირდა „ეროვნული თაობის“ სახელწოდებით. იმედია, ის არ იქნება ახალი „მხედრიონი“. თუკი დაიცავს საზოგადოების ინტერესებს, შეაჩერებს ქუჩის აღვირახსნილობას, ენას ჩააგდებინებს „ოლე-ოლას“ მომღერლებს, ცოტას მაინც თუ გაწმენდს გარემოს ბალღამისა და წუნწუხისაგან, მაშინ, ალბათ, სახელწოდებასაც გაამართლებს. ოღონდ, ისე არა – „ტყვილი, ტყვილი და პირში პაპიროზი“...**



**ალეკო ასლანიშვილი**

## „აი, რა მზის სიზმარია“...

# ვირტუალური ავატარი და რეალური გაკოტრება



**ერთ დროს ოპოზიციური ფლანგის უპირობო ლიდერი და „რევოლუციური ენერგიის“ მთავარი წყარო – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, დღეს საკუთარი პოლიტიკური და ფინანსური გაკოტრების ფონზე, მძიმე და იმავდროულად, კომიკურ აგონიას განიცდის. პარტია, რომელიც წლების განმავლობაში უზარმაზარ რესურსებსა და გავლენებს აკონტროლებდა, ახლა მხარდამჭერებს ხუთ-ათლარიან დონაციებს სთხოვს, ხოლო მისი დამფუძნებელი, რეალობას სრულად აცდენილი მიხეილ სააკაშვილი, ციხიდან საკუთარი ხელოვნური ინტელექტის ავატარით იმუქრება.**

## „ნაციონალური მოძრაობის“ კომიკური აგონია

### „ხუთლარიანი“ დამოუკიდებლობა და დაშლილი ფინანსები

**პარტიულ ყრილობამდე, რომელიც 5 აგვისტოსთვის ძლივს ჩაინიშნა, ენმ-მ ოფიციალურად აღიარა, რომ სერიოზული ფინანსური კრიზისი აქვს. 27 ივლისს გავრცელებული განცხადებით, პარტიამ საჯარო შემოწირულობების კამპანია დაიწყო.**

ენმ-ის ლიდერი ანა წითლიძე ამ პროცესს „ფინანსურ დამოუკიდებლობასა და გავლენებისგან გათავისუფლებას“ უწოდებს, თუმცა ექსპერტული წრეებისთვის სურათი ბევრად მარტივია: ძველმა მსხვილმა სპონსორებმა პარტიის დაფინანსება უბრალოდ არამომგებიანად მიიჩნიეს, საბიუჯეტო დაფინანსების არქონამ კი ენმ უფსკრულის პირას მიიყვანა. დღეს პარტია, რომელსაც პოლიტიკური ამბიციები კვლავ ცას სწვდება, ემიგრანტებისა და ადგილობრივი მხარდამჭერების 5-10-ლარიან შენატანებზეა დამოკიდებული, რაც მათი ამჟამინდელი გავლენის ზუსტი ინდიკატორია.

### ავატარი ციხიდან

**სანამ პარტიის ადგილობრივი აქტივი კაპიკებს ითვლის, სასამართლო პროცესზე მიხეილ სააკაშვილი მორიგი ვირტუალური პერფორმანსით გამოვიდა. ექსპრეზიდენტმა განაცხადა, რომ იქმნება ხელოვნური ინტელექტის მისი ავატარი, რომელიც მასზე უკეთ გამოიყურება, ილაპარაკებს, „როგორც მიშა, საუკეთესო დროს“ და სრულად გაახმოვანებს მის ნააზრევს. მან საკუთარი თავი ნელსონ მანდელასა და ბრაზილიის პრეზიდენტ ლულასაც კი შეადარა.**

სააკაშვილის ამ არაადეკვატურმა განცხადებამ მმართველ გუნდს მორიგი განცხადებების საბაბი მისცა. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი კახიანმა** აღნიშნა, რომ ეს განცხადებები უბრალოდ არასერიოზულია:

**„მიხეილ სააკაშვილის განცხადება თავისი ავატარის შექმნის თაობაზე... მე მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილს უნდა თავისი ავატარი აირჩიოს პარტიის თავმჯდომარედ. მართლაც არასერიოზულად ჩანს ის განცხადებები, რასაც ჩვენ მათგან ვისმენთ. სხვათა შორის, თვითონ მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულება, როგორც ჩანს, თავისი წევრების მიმართაც ასეთი არის. არც ენდობა ბოლომდე ყველას და ეჭვები აქვს“** – განაცხადა **კახიანმა**.

მან ასევე დასძინა, რომ რადიკალების შინაგანი ბუნება მძიმე პოლიტიკური წარსულითაა დამძიმებული და მათგან სახის ცვლილებას არავინ ელოდება.

კიდევ უფრო მწვავე და ირონიული იყო პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი **გურამ მაჭარაშვილი**, რომელმაც ხაზი გაუსვა პარტიაში არსებულ შიშებსა და დილემებს:

**„ეს არ გვაკლდა, რომ ორიგინალი სააკაშვილის ბოდვებზე გაგვეკეთებინა კომენტარი და ახლა იმის ავატარს უნდა ვდიოთ... „ნაცმოძრაობას“ აქვს ძალიან დიდი დილემა... აქვთ იმის შიშიც, რომ ვის გამოეცხადება სააკაშვილის სული საღამოს, თუ არ არის კმაყოფილი ამ გადაწყვეტილებებით. დიდი სურვილი ბევრსაც არ ექნება ისეთ პოლიტსაბჭოში წევრობაზე, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება გამოგეცხადოს სააკაშვილი და გიკარნახოს გადაწყვეტილებები“** – აღნიშნა **მაჭარაშვილმა**.

### ყვირილის ფონი

**შიდა დაპირისპირება და ქაოსი ყველაზე კარგად პოლიტიკური საბჭოს ბოლო სხდომაზე გამოჩნდა. ორსაათიანი შეხვედრა, სადაც ყრილობის საკითხებს წყვეტდნენ, ხმაურისა და ყვირილის ფონზე მიმდინარეობდა. თუმცა, ყველაზე სიმპტომატური ის იყო, რომ სხდომას პარტიის მოქმედი თავმჯდომარე თინა ბოკუჩავა საერთოდ არ ესწრებოდა, რაც პარტიის შიგნით არსებულ სრულ იზოლაციასა და მართვის დაკარგვაზე მიუთითებს.**

როგორც პეტრე ცისკარიშვილმა სხდომის შემდეგ განაცხადა, 5 აგვისტოს დაგეგმილი ყრილობა **„არ იქნება გრანდიოზული, ეს არის მორიგი ტექნიკური ყრილობა“**, სადაც სულ 250-300 დელეგატი შეიკრიბება ახალი თავმჯდომარისა და მმართველი ორგანოს ასარჩევად. ანალიტიკოსების შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობის“ დღევანდელი მდგომარეობა ნათლად აჩვენებს პოლიტიკური ძალის ლოგიკურ დასასრულს: ფინანსებისგან დაცლილი პარტია, ლიდერის გარეშე დარჩენილი პოლიტსაბჭო და ციხეში გამოკეტილი ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც რეალური პოლიტიკის ნაცვლად, საკუთარ ციფრულ ავატარებსა და „ვარდების რევოლუცია 2-ის“ ილუზიებში ცხოვრობს.

„ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** მიხეილ სააკაშვილის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებას აფასებს და ამბობს, რომ სააკაშვილის ნათქვამი საქართველოს ისტორიის დაგვიანებული დიაგნოზია, მისი გამოსვლა დეგრადირებული არსების პოლიტიკური მონოსპექტაკლია.

**„ჯერ კიდევ „ბუშინ“-ის „კვდებოდა“ და „გადასარჩენად“ კომფორტულ კლინიკაში, ხან კიევიდან მოზარდთა ენურეზის მკურნალს იწერდა, ხან ლონდონიდან, ფსიქიატრიის ცნობილ პროფესორს. შუალედში, ხან საკუთარი განავალით კალათბურს თამაშობდა პალატაში, ხან ამ განავალს პოლონელ სტუმრებს ატანდა ქვეყნის გარეთ, საბაჟო დეკლარაციაში შეტანის გარეშე. პარალელურად, დემენციას ამარცხებდა და როგორც ჩანს, ბუნებრივი ინტელექტის უკანასკნელ „წვეთებს“ ემშვიდობებოდა, რათა საბოლოოდ, ხელოვნურზე გადასულიყო და საკუთარი, არანაკლებად შეშლილი სექტანტების წინაშე, დღეს უკვე ვირტუალურ ბელადად და ავატარად წარმოჩენილიყო.**

**მისი მანიაკალური, ჩამოუყალიბებელი გიჟის შიგთავსი, რომელიც მართავდა ამ ქვეყანას 9 წელიწადი, თურმე, ემშვიდობება თავის ფიზიკურ იპოსტასს, რომელმაც ვერ მოახერხა სახელისუფლებო რეინკარნაცია და ჰოლოგრამის სახით გვიბრუნდება, რომელიც სთავაზობს საკუთარ თავს პოლიტიკური შიზოფრენიით დაინფიცირებულ საზოგადოებას. ამაზე ღლიცინიც კი აღარ შეიძლება–ეს არის დაგვიანებული დიაგნოზი საქართველოს უახლოესი ისტორიისა, რომელმაც დაუშვა 2003 წელს, ეს მანიაკალურ-ფსიქოპათიური მოვლენა სახელმწიფოს სათავეში“** – ამბობს **ქართველიშვილი**.

მისი თქმით, ვიდეოში ჩვენ ვხედავთ დეგრადირებული არსების პოლიტიკურ გამოსვლას – მონოსპექტაკლს, სადაც საღმა აზრმა თუ ბუნებრივმა ინტელექტმა დარბაზი დიდი ხნის წინ დატოვა, ხოლო ტაშს მხოლოდ ერთგული და გადარეული სექტა უკრავს, რომელიც მზადაა თავისი კერპის ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე აბსურდული ქმედება გენიოსობად გამოაცხადოს.

**„ინტერნეტის ჯანსაღი მომხმარებელი, როგორც ყოველთვის, ამ ყველაფერს სიცილით პასუხობს – მიმებით, ირონიით, დაცინვით, მაგრამ სინამდვილეში, აქ სასაცილო ძალიან ცოტაა. ისტორიას არაერთხელ უნახავს, როგორ იწყებოდა მძიმე პოლიტიკური კატასტროფები იმ მომენტიდან, როდესაც საზოგადოებამ სახიფათო ქცევა უბრალოდ ექსცენტრიულობად ჩათვალა და სერიოზულად აღარ აღიქვა. სანამ ერთნი ხუმრობდნენ, მეორენი სრულიად სერიოზულად, მთელ ქვეყანას საკუთარი აკვიატებული იდეების საცდელ პოლიგონად აქცევდნენ, ამიტომ მთავარი კითხვა თავად ამ პოლიტიკოსს კი არ ეხება. მთავარი კითხვაა – მზად არის თუ არა საზოგადოება, კიდევ ერთხელ ანდოს სახელმწიფო, ამჯერად უკვე შეშლილ „ავატარს“, რომლის საჯარო გამოსვლებიც სულ უფრო მეტად წააგავს საკუთარ ავადმყოფურ წარმოდგენებთან დაუსრულებელ ბრძოლას.**

**სახელმწიფო არც ფსიქოთერაპიის კაბინეტია და არც პოლიტიკური თრილერის გადასაღები მოედანი. საკუთარ ქვეყანაზე ჩატარებული ექსპერიმენტები აპოლოდისმენტებით თითქმის არასოდეს მთავრდება. გაცილებით ხშირად ისინი მთავრდება იმით, რომ შემდეგ, წლების განმავლობაში, მთელ საზოგადოებას უწევს იმ ნანგრევების ალაგება, რომლებიც დატოვა ადამიანმა, რომელიც მისთვის მიუღებელ ქვეყანას ასეთი გაშმაგებით და აბუჩად აგდებით „ტროლავდა“** – მიიჩნევს **დავით ქართველიშვილი**.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ჩემპიონის ხასიათი, მეცნიერის აზროვნება



## სპორტის, სამართლისა და კრიმინალისტიკის გზაზე

## შენგელი ფიცხელაური — 80

**ადამიანის ცხოვრებაში იშვიათად ხდება, რომ სპორტული გამარჯვება, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა და სამეცნიერო მოღვაწეობა ერთ მთლიან, შინაარსიან გზად გაერთიანდეს. ასეთი ადამიანები მხოლოდ ერთი პროფესიის წარმომადგენლები არ არიან — ისინი თავიანთი საქმიანობით კვალს რამდენიმე სფეროს ისტორიაში ტოვებენ. შენგელი ფიცხელაური სწორედ ასეთი გამორჩეული პიროვნებაა. მისი ცხოვრების გზა მოიცავს ქართული სპორტის უმაღლეს მიღწევებს, სამართალდამცავ სისტემაში მრავალწლიან მოღვაწეობას, უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ საქმიანობას და კრიმინალისტიკის მეცნიერების განვითარებაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს.**

**შენგელი ფიცხელაური არის ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, გენერალ-მაიორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. თუმცა ამ ტიტულებზე უფრო მნიშვნელოვანი ის გზაა, რომელიც თითოეულ მათგანამდე მივიდა — გზა შრომის, პასუხისმგებლობისა და მუდმივი განვითარების.**

**შენგელი ფიცხელაური დაიბადა 1946 წლის 2 აგვისტოს ახმეტის რაიონის სოფელ ახშანში. კახეთის მიწამ მას ბავშვობიდანვე გამოუმუშავა შრომისმოყვარეობა, სიმტკიცე და მიზნისკენ სწრაფვა. სწორედ ეს თვისებები გახდა შემდგომში მისი ცხოვრების მთავარი საყრდენი. ახალგაზრდობიდანვე განსაკუთრებული ნიჭი სპორტში გამოავლინა. თუმცა სპორტული წარმატება მისთვის მხოლოდ ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენა არ ყოფილა. სპორტმა მას ჩამოუყალიბა ხასიათი — დისციპლინა, ნებისყოფა, პასუხისმგებლობის გრძნობა და გამარჯვებისთვის ბრძოლის უნარი.**

პარალელურად, იგი, განათლების მიღებასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1970), მოგვიანებით კი, იურიდიული ფაკულტეტი (1977). ამგვარად, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მის ცხოვრებაში ორი მიმართულება გაერთიანდა: პრაქტიკული აზროვნება და სამართლებრივი ცოდნა.

შენგელი ფიცხელაურის სპორტული კარიერა ქართული სპორტის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. იგი წარმატებით ასპარეზობდა თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში — სახეობებში, რომლებიც განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად მოითხოვს ტაქტიკურ აზროვნებასა და ძლიერ ნებისყოფას. იგი არის სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1968), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი (1971, 1973, 1975), მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი (1973), სსრკ ვიცე-ჩემპიონი (1974), ევროპის ჩემპიონატის III ადგილის მფლობელი (1974). მისი სპორტული მიღწევები განსაკუთრებით ფასეულია იმ ეპოქის გათვალისწინებით, როდესაც საბჭოთა კავშირის სპორტული სკოლა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სკოლად ითვლებოდა. ასეთ გარემოში წარმატების მიღწევა მხოლოდ ნიჭით შეუძლებელი იყო — ამას სჭირდებოდა უდიდესი შრომა, დისციპლინა და პროფესიული თავდადება. სპორტმა მას მისცა მთავარი ცხოვრებისეული გაკვეთილი: გამარჯვება იწყება საკუთარ თავზე გამარჯვებით.

სწორედ ეს პრინციპი გაჰყვა მას შემდგომ საქმიანობაშიც.

სპორტული კარიერის შემდეგ შენგელი ფიცხელაურმა საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სამართლის სფეროს დაუკავშირა. მისი პროფესიული გზა სამართალდამცავ სისტემაში რამდენიმე ათწლეულს მოიცავს.

ეს იყო რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა, სადაც არა მარტო პროფესიული ცოდნა, არამედ სიმტკიცე, პრინციპულობა და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარი იყო საჭირო.

შენგელი ფიცხელაური წლების განმავლობაში ძალოვან უწყებებში იკავებდა სხვადასხვა თანამდებობებს: 1976-1977 წწ. იყო თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ინსპექტორი; 1977-1980 წწ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი; 1980-1983 წწ. თბილისის კრწანისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსი, ხოლო 1983-1985 წწ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი; 1985-1991 წწ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსი; 1997-2002 წწ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი, ხოლო 2002-2004 წწ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ადმინისტრაციის კონსულტანტთა ჯგუფის კონსულტანტი (დეპარტამენტის უფროსი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე; მოგვიანებით მისი სახელმწიფოებრივი გამოცდილება კვლავ იქნა გამოყენებული — 2019 წლის 22 იანვრიდან იგი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველი, ხოლო 2019 წლის 7 მაისიდან – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე.

მისი ღვაწლი სახელმწიფომ სათანადოდ შეაფასა. იგი დაჯილდოებულია მედლით □საბრძოლო დამსახურებისათვის□(1999) და ღირსების ორდენით (2002).

**შენგელი ფიცხელაურის სამეცნიერო საქმიანობის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი პრაქტიკული გამოცდილებიდან დაიბადა. როგორც ადამიანს, რომელსაც მრავალი წელი ჰქონდა გატარებული გამოძიებისა და სამართალდამცავი საქმიანობის სფეროში, კარგად ესმოდა ის რეალური პრობლემები, რომელთა წინაშეც დგას თანამედროვე მართლმსაჯულება.**

**მისთვის კრიმინალისტიკა არ არის მხოლოდ თეორიული მეცნიერება. ეს არის ცოდნის სისტემა, რომელიც ემსახურება დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებას, მტკიცებულებების სწორ მოპოვებას და ადამიანის უფლებათა დაცვას.**

2002 წელს მან დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. შემდგომ წლებში მისი სამეცნიერო საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა. დღეს მისი ავტორობით გამოქვეყნებულია ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება კრიმინალისტიკის ფუნდამენტურ და თანამედროვე საკითხებს.

შენგელი ფიცხელაურის სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა გამოძიების პროცესში სპეციალური ცოდნისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება. მის ნაშრომებში განხილულია: მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების თანამედროვე მეთოდები; შემთხვევის ადგილზე დარჩენილი კვალის კვლევა; საგამოძიებო ტექნიკის გამოყენება; სპეციალური ცოდნის მნიშვნელობა გამოძიებაში; კრიმინალისტიკური ტაქტიკის საკითხები.

ნაშრომებში □შემთხვევის ადგილზე დარჩენილი კვლების აღმოჩენისა და ამოღების სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები□ (2010), □მტკიცებულებათა აღმოჩენის საძიებო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები□ (2010), □კრიმინალისტიკის აქტუალური საკითხები□(2024), „საერთაშორისო ტერორიზმი და მისი გავრცელების ტენდენციები საქართველოში□(2019), „კოვიდ 19 პანდემიის ზოგადი კონტურები სამართლებრივ ჭრილში□(2023) და სხვ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თანამედროვე გამოძიება შეუძლებელია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენების გარეშე. მისი სამეცნიერო ხედვით, მტკიცებულება მხოლოდ მაშინ ხდება სანდო, როდესაც იგი მოპოვებულია კანონიერად, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებით და ადამიანის უფლებათა სრული დაცვით.

შენგელი ფიცხელაურის საქმიანობა მხოლოდ პრაქტიკული საკითხებით არ შემოიფარგლება. მან მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო კრიმინალისტიკის, როგორც მეცნიერების, თეორიულ საფუძვლებსაც. მის ნაშრომებში განხილულია: კრიმინალისტიკის ცნება და ადგილი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში; მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები; განვითარების ისტორიული ეტაპები; თანამედროვე კრიმინალისტიკის მიზნები და ამოცანები.

განსაკუთრებით საინტერესოა მისი კვლევები ქართული კრიმინალისტიკის განვითარების შესახებ, სადაც იგი განიხილავს ეროვნული სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესს და ქართული იურიდიული სკოლის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს.

შენგელი ფიცხელაურის სამეცნიერო საქმიანობა განუყოფელია მისი პედაგოგიური მოღვაწეობისგან. იგი სხვადასხვა წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (2003-2005), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის (2007-2009), თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის (2006-2009), გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისა (2009-2019) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (2023-დან დღემდე). როგორც პედაგოგმა, მან მრავალი თაობის იურისტის მომზადებაში შეიტანა წვლილი. ხელმძღვანელობდა სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომებს, მონაწილეობდა სადისერტაციო საბჭოების მუშაობაში, იყო მრავალი სამეცნიერო გამოცემის რედაქტორი და რეცენზენტი.

მისი მთავარი პედაგოგიური პრინციპი იყო ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირება — სტუდენტისთვის არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, არამედ პროფესიული აზროვნების ჩამოყალიბება.

2024 წელს შენგელი ფიცხელაური საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა. ეს არის განსაკუთრებული აღიარება, რომელიც მეცნიერის მრავალწლიან შრომას, კვლევით საქმიანობასა და დარგის განვითარებაში შეტანილ წვლილს ეფუძნება. მის შემთხვევაში ეს აღიარება წარმოადგენს არა მხოლოდ წარსული მიღწევების შეფასებას, არამედ ქართული კრიმინალისტიკისა და იურიდიული მეცნიერების განვითარების პროცესში მისი როლის აღიარებას.

**შენგელი ფიცხელაურის ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ადამიანის შესაძლებლობები ერთი სფეროთი არ იზღუდება. სპორტის ჩემპიონი შეიძლება გახდეს მეცნიერიც, პრაქტიკოსი გამომძიებელი — მკვლევარიც, სახელმწიფო მოხელე — პედაგოგიც. მისი გზა არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ნიჭი, შრომა და პასუხისმგებლობა გადაიქცეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმედ. სპორტულ ხალიჩაზე მოპოვებული გამარჯვებებიდან დაწყებული, კრიმინალისტიკის მეცნიერებაში შეტანილი წვლილით დასრულებული — მისი ცხოვრების თითოეული ეტაპი ერთ მთავარ იდეას აერთიანებს: ნამდვილი გამარჯვება არის არა მხოლოდ საკუთარი თავის დამტკიცება, არამედ ცოდნისა და გამოცდილების მომავალი თაობებისთვის დატოვება.**

**შენგელი ფიცხელაურის ბიოგრაფია სწორედ ასეთი გამარჯვების ისტორიაა.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# „ზნეობრივი თამაშები“

**საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების შესაძლო „გადატვირთვის“ ფონზე, ვაშინგტონიდან კვლავ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური გზავნილები ისმის. მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საპასუხო წერილი (გამოქვეყნდა 2026 წლის 17 ივლისს), პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ სტრატეგიული პარტნიორობის სუფთა ფურცლიდან დაწყების შესაძლებლობად შეაფასა, ვითარება კვლავ დაიძაბა.**

**ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური მოლოდინების პარალელურად, ამერიკელმა კონგრესმენმა ჯო უილსონმა მმართველი გუნდის მიმართ კვლავ კრიტიკული განცხადებები გააკეთა. უილსონმა სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ „ვოუქ“ ცენზურასა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის საბაბით, სიტყვის თავისუფლებას ანადგურებს, რის გამოც იგი სპეციალური კანონპროექტის წარდგენას გეგმავს.**

**ამ განცხადებებს მმართველი პარტიის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ სამხრეთ კაროლინას კონგრესმენი არა საკუთარი ამომრჩევლის, არამედ ქართული ოპოზიციური ძალების ინტერესებს ემსახურება.**



# ლობიზმის ჭაობში

## ვინ დგას ჯო უილსონის აქტიურობის უკან?

**„საინტერესოა, რომ ჯო უილსონი სამხრეთ კაროლინას შტატიდან არის არჩეული და წესით, ამ შტატსა და ხალხს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა 2024 წელს, მისი ხელმეორედ არჩევის შემდგომ, მას არცერთი კანონპროექტი არ დაუინიცირებია სამხრეთ კაროლინასთან დაკავშირებით; ორად ორი კანონპროექტი, რომელიც დააინიცირა, საქართველოს ეხებოდა“,** – განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **ნინო წილოსანმა.**

წილოსანის შეფასებით უილსონის კამპანია სიტყვის თავისუფლების საფარქვეშ დამალული სიძულვილის გაღვივებაა.



ლობიზმისა და ფინანსური ინტერესების თემას ხაზი გაუსვა დეპუტატმა **ირაკლი ჯეიშვილმაც:**

**„ამ ადამიანს ფულს უხდიან და იმიტომ აკეთებს ამას. ყოველივე აქტის მიღებასა თუ დაინიცირებაში ჯო უილსონს უხდიან კონკრეტულ თანხას და იმიტომ არის ასეთი აჟიტირებული... სიძულვილის ენა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ რამე ხდებოდა, იყო სააკაშვილის პერიოდში“,** – აღნიშნა **ჯეიშვილმა.**

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან მახაშვილი** კი მიუთითებს FARA-ს (უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის) დოკუმენტებზე და აცხადებს, რომ უილსონი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაფინანსებული პოლიტიკოსია:

**„ჯო უილსონს ვხვდებით „ფარას“ დოკუმენტებში, სადაც ის „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ლობირების შედეგად დაფინანსებული პოლიტიკოსია. ეს არის ადამიანი, რომელთანაც ძალიან კარგი მისასვლელი გზები აქვს „ნაცმოძრაობას“. ზევრს აქვს კითხვა: რა უნდა საერთოდ ჯო უილსონს, ან უფრო მეტად, მის უკან მდგომ დამკვეთებს, რომლებიც რეალურად უკვეთენ ამ პოლიტიკურ აქტივობას? მას უნდა, რომ საქართველოში იყოს სიძულვილის ენა და შეურაცხყოფა“,** – აცხადებს **მახაშვილი.**



პოლიტიკურ კითხვებს კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ უილსონის აქტიურობას დროში დაემთხვა საქართველოში აშშ-ის საელჩოს 28 ივლისის ოფიციალური განცხადება ჟურნალისტ **ვახო სანაიას** დაკავებასთან დაკავშირებით. საელჩომ აღნიშნა, რომ ვაშინგტონი მტკიცედ ეწინააღმდეგება ცენზურას და შეშფოთებულია სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს საქმიანობით, რადგან **„სტაბილურობა მოითხოვს პოლიტიკურ ოპოზიციასა და მედიის თავისუფლებას“.**

**სრულიად განსხვავებულია ოპოზიციური სპექტრის პოზიცია. ოპოზიციის წარმომადგენელთა შეფასებით, დონალდ ტრამპის წერილი მხოლოდ დიპლომატიური ეტიკეტის ნაწილი იყო და მასში სტრატეგიული პარტნიორობის ავტომატური აღდგენა არ იკითხება. მათთვის საელჩოსა და ამერიკელი კანონმდებლების კრიტიკული პოზიცია იმის დასტურია, რომ ვაშინგტონისთვის პრიორიტეტად კვლავ დემოკრატიული სტანდარტები, პოლიტიკური პლურალიზმი და მედიის თავისუფლება რჩება.**

**ექსპერტულ და პოლიტიკურ წრეებში ისმის მთავარი კითხვა: მოქმედებს თუ არა ჯო უილსონი მხოლოდ ქართული ოპოზიციური ჯგუფების ლობისტური შეკვეთით, თუ მის ზურგს უკან დგანან თავად ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში არსებული ის ძალები, რომლებიც საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების გადატვირთვას ეწინააღმდეგებიან? პასუხი იმაზე, თუ საით გადაიხრება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების სასწორი, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.**

ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე** მიიჩნევს, რომ ჯო უილსონი მარტო ნამდვილად არ მოქმედებს. ის არის იმ გავლენიანი ამერიკელი კონგრესმენებისა და პოლიტიკური წრეების რუპორი, რომლებიც საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მიმართ საკმაოდ მძაფრი სკეპტიციზმით გამოირჩევიან.

**„არ უნდა გამოვრიცხოთ უმარტივესი პოლიტიკური ტაქტიკა: თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელთაც გარკვეული კონტაქტები და კავშირები აქვთ, მათ შორის, მარკო რუბიოსთან. სავარაუდოდ, ისინი ჯო უილსონს – თუნდაც შედარებით დაბალი რგოლისა და ფიგურის პოლიტიკოსს – იყენებენ ერთგვარ ინსტრუმენტად. ერთი ხელით მას აამოქმედებენ „ქართულ ოცნებასთან“ სავაჭროდ და პოლიტიკური ზეწოლისთვის, ხოლო მეორე ხელით, ოფიციალურ დონეზე ურთიერთობების დალაგებასა და დიპლომატიურ ჟესტებს ცდილობენ. ეს პოლიტიკაში აპრობირებული, ხშირი პრაქტიკაა და ამაში განსაკუთრებულად გასაკვირი არაფერია. ამასთან, ჯო უილსონი ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი ან შემთხვევითი ფიგურა“,** – განაცხადა **ბერიძემ.**



მისივე თქმით, ნურავის დაავიწყდება, რომ ის გარდაცვლილი, გავლენიანი სენატორის **ლინდსი გრემის** უახლოესი გარემოცვის წევრი და მოკავშირე იყო.

**„შესაბამისად, მას აქვს საკმაოდ სერიოზული ზურგი, კავშირები და წონა ვაშინგტონში. ის, ერთი მხრივ, ლობიზმში იღებს კონკრეტულ ფინანსურ სარგებელს ქართული ოპოზიციური ჯგუფებისგან, თუმცა, პარალელურად, ზუსტად ახორციელებს ამერიკული პოლიტიკური ელიტის გარკვეული ფრთის სტრატეგიულ ინტერესებს. შესაბამისად, მისი აქტიურობა არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც ცალკეული კონგრესმენის კერძო ინიციატივა, ან მხოლოდ ლობისტური ფულით მოტივირებული ნაბიჯი – ეს არის ორკესტრირებული პოლიტიკური თამაში, სადაც უილსონს თავისი კონკრეტული ფუნქცია აქვს დაკისრებული“,** – განაცხადა ანალიტიკოსმა.

**ისმის მთავარი კითხვა: მოქმედებს თუ არა ჯო უილსონი მხოლოდ ქართული ოპოზიციური ჯგუფების ლობისტური შეკვეთით, თუ მის ზურგს უკან დგანან თავად ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში არსებული ის ძალები, რომლებიც საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების გადატვირთვას ეწინააღმდეგებიან?**

**ლიკა ბერიკაშვილი**



ბესარიონ კილასონია
პროფესორი, სასამართლო მედიცინის ექსპერტი

# პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა

## რა არის დღემდე ცნობილი პოეტის პორტრეტის შესახებ?

**ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტეს პოეტის ლექსები დაებეჭდათ მისი სურათის თანხლებით. 1846 წლის 16 იანვარს ლევან მელიქიშვილი, პოეტის სკოლის ამხანაგი, თბილისიდან წერილს უგზავნის გრიგოლ ორბელიანს: „განვიზრახეთ ნ. ბარათაშვილის ლექსები დავბეჭდოთ. ეხლა ვაგროვებთ განსვენებულის ყველა ნაწერებს, ერთ წიგნად დავბეჭდავთ, ზედ დავურთოებთ მის სახეს“ ეს გამოცემა არ დასტამბულა და ნ. ბარათაშვილის პორტრეტიც გამოუქვეყნებელი დარჩა.**

იონა მეუნარგიასთვის მგოსნის ბიძას გრიგოლ ორბელიანს უთქვამს: „ნ. ბარათაშვილის პორტრეტი კოლა ერისთავის დედას (ნიკოლოზის დას) ჰქონდა და არ ვიცი რა უყო“. იგივე ავტორი ნ. ბარათაშვილის ახლობლებში შეკრებილი ცნობების მიხედვით წერს: „ბარათაშვილის ერთადერთი დაგეროტიპი, რომელიც შერჩენია მის დას ნინო ბარათაშვილს, დაღუპულა იმ საშინელ ცეცხლში, რომელმაც გადაბუგა გოლოვინის პროსპექტის სახლები და მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფიაც. ეს დაგეროტიპი გადაეცა ფოტოგრაფიისათვის ილია ჭავჭავაძეს“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლეში ფოტოგრაფია საქართველოში არ არსებობდა. სურათებს მხატვარი-პორტრეტისტები წერდნენ. ი. ბალახაშვილი, თავის მონოგრაფიაში „ბარათაშვილის ცხოვრება“ აღნიშნავს: „ნ. ბარათშვილის დებს შერჩენიათ ძმის ორი სურათი; ხელით ნახატი პორტრეტი ეკატერინე ერისთავის საკუთრება ყოფილა, ხოლო დაგეროტიპული ანასახი ნინოს ჰქონია... თბილისში პირველი დაგეროტიპისტის ჩამოსვლამდე ფოტოგრაფის მაგივრობას მხატვარი იაკობ იონათამაშვილი ეწეოდა, შესაძლებელია, დღემდე მიმალული, ეკატერინე ერისთავის კუთვნილი პორტრეტი მგოსნისა, ამ მხატვრის ფუნჯს ეკუთვნოდეს“.

მოკლედ მინდა შევეხო, თუ რას წარმოადგენდა დაგეროტიპი. მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში, ნეპსონმა და დაგერმა საფუძველი დაუდეს ვერცხლის ფირფიტაზე ქიმიური რეაქტივებითა და სხივების ზემოქმედებით ანაბეჭდის მიღების მეთოდს. 1839 წელს დაგერმა თავისი სახელით შექმნა ვერცხლის ფირფიტებზე ქიმიური რეაქტივებით ანაბეჭდის მიღების წესი. მცირე დროით ზემოქმედების შემდეგ დაგეროტიპი იძლეოდა მხოლოდ ერთი სურათის პოზიტიურ ანაბეჭდს. ნეგატივის მიღების შედეგად ქაღალდზე ბეჭდვა გამოგონილ იქნა 1840 წლიდან.

დაგეროტიპის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუს მხატვარს ალექსი გრეკოვს. 1840 წელს მან ვერცხლის ფირფიტების მაგივრად მოვერცხლილი სპილენძის ფირფიტების გამოყენებას დაუდო საფუძველი, შეამოკლა პოზირება-გადაღების დრო და მეტი თვალსაჩინოება მისცა ანაბეჭდს. გრეკოვის პირველი მოწაფეთაგანი იყო ცნობილი მხატვარი-ფოტოგრაფი სერგეი ლევიცკი. 1842 წელს კავკასიის მინერალური წყლების შესასწავლად პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოვიდა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტის იული ფრიცშეს ექსპედიცია, რომელსაც, როგორც ფოტოგრაფი, ახლდა სერგეი ლევიცკი. მარი ბროსეს დავალებით, ი. ფრიცშეს უნდა შეეკრიბა ქართული წიგნები და ხელნაწერები. როცა პეტერბურგში დაბრუნდა, ფრიცშემ აკადემიას წარუდგინა სპეციალური მოხსენება, რომელშიც აღნიშნა, რომ „ერთმა ახალგაზრდა ქართველმა პოეტმა, რომლის ნაცნობობის შესაძლებლობაც ტფილისში მქონდა, თავადმა ბარათაშვილმა თანხმობა განაცხადა, თუ ეს აკადემიის სურვილი იქნება, პირველად დაემზადებინა ნუსხა მისთვის ცნობილი ხელნაწერებისა, და შემდეგ, იმის მიხედვით, რასაც აკადემია ამოირჩევდა, დაემზადებინა მათი ასლები“.

ეს „ახალგაზრდა ქართველი პოეტი... თავადი ბარათაშვილი“ ნიკოლოზია, რომელსაც იმ პერიოდში ყველა მისი ახლობელი, პოეზიის მცოდნე, პოეტად იცნობდა, მის ლექსებს სალონებში კითხულობდნენ და სხვა ბარათაშვილი იმ დროს პოეტად არ მოიხსენიებოდა. ფრიცშეს თანმხლებმა სერგეი ლევიცკიმ პირველი დაგეროტიპული გადაღებები აწარმოა საქართველოში. ცხადი ხდება, რომ ლევიცკის თბილისში უნდა გაეცნო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი და, რადგან ბარათაშვილის სიცოცხლის პერიოდში საქართველოში სხვა დაგეროტიპისტი არ ჩამოსულა, ეს ერთადერთი დაგეროტიპული სურათი, რომელიც შემდეგ პოეტის დასთან ნინო ბარათაშვილთან ინახებოდა, ლევიცკის უნდა გადაეღო.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №99-100



ნ. ბარათაშვილის პორტრეტი, შესრულებული ვ.კროტკოვის, ი.ქოქიაშვილის, ლადო გუდიაშვილის მიერ 1938 წ.

## როდის უნდა დაკარგულიყო ეს დაგეროტიპი?

**როგორც ცნობილია, ეს დაგეროტიპი ილია ჭავჭავაძემ პოეტის დას ნინო ბარათაშვილს გამოართვა სამოციანი წლების დასაწყისში„ ი. ხონელი გადმოგვცემს დუბელირის სიტყვებს, რომ დაგეროტიპული პორტრეტი ნ. ბარათაშვილისა დამწვარა სამოციანი წლების შუა ხანებში. დუბელირის ფოტოგრაფიის დაწვისა და ნ. ბარათაშვილის დაგეროტიპული სურათის დაღუპვისთანავე, დაიწყო პოეტის სხვა სურათის ძებნა.**



ნ.ბარათაშვილის პორტრეტის ესკიზი-ჩანახატი მიხეილ თუმანიშვილის მიერ შესრულებული

პოეტს რომ სხვა დაგეროტიპული სურათი არ დარჩენია, ამას ადასტურებს 1881 წელს გაზეთ „დროება“ში“ მოთავსებული ცნობა. კორესპოდენტი წერდა: „მე ვიყავი მიცვალებული პოეტის დასთან, კნეინა სუმბათოვთან, რომელიც ცხოვრობს სოფელ ქვიშხეთში. მან მიამბო: „ჩემ დას კნეინა ვეზიროვას აქვსო ჩვენი ძმის ხელნაწერებიო, მაგრამ დაკარგვისა ეშინია, რადგან ერთადერთი დაგეროტიპის პორტრეტი ნიკოლოზისა დაგვიკარგესო, ამისთვის ვეღარავის მივცემთ ჩვენი ძმის ხელნაწერებსო“.

1876 წელს პეტრე უმიკაშვილის ხელმძღვანელობით მზადდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა პირველი გამოცემა. პოეტის პორტრეტი ვერ მოიძებნა, გამოცემის ერთ-ერთმა მოთავემ გიორგი თუმანიშვილმა მამამისის არქივში მოიძია მიხეილ თუმანიშვილის პორტრეტ-ესკიზი, რომელზედაც გამოსახულ მამაკაცს მიწერილი ჰქონდა ქვეშ ინიციალები „Н.Б.“ეს ესკიზი შესრულებულია პატარა ზომის თეთრ ქაღალდზე შავი ფანქრით. მიხეილ თუმანიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობარი იყო. თუ ამ ესკიზს ნიკოლოზის დების ნინოსა და სოფიოს ფოტოსურათებს შევაჯერებთ, მათ შორის გასაოცარ მსგავსებას ვიპოვით.

ბევრ ავტორიტეტულ პირს სწამდა, რომ „თუმანიშვილისეულ ესკიზზე“ ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო გამოსახული, მაგრამ პავლე ინგოროყვა სხვა აზრის იყო, იგი 1938 წელს ჟურნალ „მნათობში“ წერდა: „ამ სურათის დოკუმენტალობა ვერ ჩაითვლება დამტკიცებულად. ბევრი რამ საცილობელია ფანქრით შესრულებულ ამ დილეტანტურ ესკიზში... „თუმანიშვილისეული სურათი“ ჯერ კიდევ 70-იან წლების ბოლოს ხელთ ჰქონია ილია ჭავჭავაძეს, მან გაიარა ავტორიტეტული ექსპერტიზა და ამ სურათს არ მისცეს ვიზა დასაბეჭდად, და ეს მაშინ, როდესაც ბარათაშვილის პორტრეტის ძიებამ უშედეგოდ ჩაიარა და სხვა სურათის მოძიების იმედი უკვე აღარ იყო“.

შეუძლებელია არ ვერწმუნოთ პოეტის დას, ბარბარე ვეზირიშვილს. როდესაც ბ.ვეზირიშვილს ეს ესკიზი უჩვენეს, მან ესკიზში თავისი ძმა იცნო, თუმცა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ იგი ამ ნახატზე ცოტა ულამაზოდ არის ასახულიო. ბარბარე ვეზირიშვილი მისი ძმის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების დროს უკვე ზრდასრულია, მას კარგად უნდა ახსოვდეს ძმის გარეგნობა, აი რას უამბობს სამსონ ფირცხალავას: „ნიკო ძალიან მალხაზი, მარდი იყო და მიმზიდველი სახის, შუათანა ტანის, არც გამხდარი არც მსუქანი, წაბლის ფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები; წარბები შეერთებული; წვერ-ულვაშს იპარსავდა, იცვამდა ევროპულს სამოქალაქო ტანისამოსს...“

დიმიტრი ყიფიანი ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი იყო, პოეტს „ნოღაცხვირიანს“ უწოდებს. ესკიზზე გარკვევით ჩანს ქართველისათვის ეს უჩვეულო ნიშანი ნოღაცხვირიანობა. აი როგორ აღწერს პოეტს დ. ყიფიანი „ „ნიკოლოზი იყო პატარა, ტანდაბალი, ნოღაცხვირიანი, მაგრამ მეტისმეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული, თანაც მეტისმეტად უანგარო, უფროსები იცნობდნენ მას, როგორც შესანიშნავ მოცეკვავეს ლეკურისას, რასაც იგი აზრით ჰმოსავდა. მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუცხოო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა, ართობდა და იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას თავის ნაწარმოებებზე. მისი მოასაკენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ (როცა მარტოხელა ვიყავი) და აი, აქ იყო ხოლმე განსაკუთრებით თავის კალაპოტში“.

ნ.ბარათაშვილის ავტობიოგრაფიის ცნობილი მკვლევარი ი. ბალახაშვილი აღნიშნავს: „არ არის მართალი, თითქოს ჩანახატ „ნ. ბ.“-ს არ ემჩნეოდეს „შეერთებული წარბები“, „ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი“ ხსენებულ ესკიზს სრულიად გარკვევით ამჩნევია შეერთებული წარბები, „ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი“ მერე რა, რომ მონახაზში წარბები, „ძალიან ხშირი“ არ არის? ჰქონდა კი, პოეტს მეტისმეტად ხშირი წარბები?“

ლუკა ისარლიშვილის აღწერილობით, „ბარათაშვილი მოთეთრო სახისა იყო. პირხმელი, შავი ცოცხალის თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი ჰქონდა. მოგრძო თვალები ცხვირისაკენ იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად არც ულვაშსაც. სახე შორიდან შნოიანი, ახლოდან დაღმეჭილსა ჰგვანდა. იცვამდა ბუზმენტიან ქულაჯას. უფრო ხშირად სერთუკი ეცვა. საგრძნობლად კოჭლობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოდა“. ლ.ისარლიშვილი აღნიშნავს, რომ ულვაშს ხშირად არ ატარებდაო, ჩანს, პოეტი ზოგჯერ ატარებდა ულვაშს. ნინო ყიფიანს ბარათაშვილის გარეგნობა სწორედ „შავი ულვაშებით ჰქონდა წარმოდგენილი“. მაშასადამე, რა გასაკვირია, რომ მ. თუმანიშვილს ამ ესკიზზე პოეტი ულვაშით წარმოესახა.

ნ. ბარათაშვილს ძლიერ ჰგვანებია მისი და ნინო, უმცროსი და სოფიო სუმბათაშვილისა კი პირდაპირი განსახიერება ყოფილა პოეტის. დიმიტრი ყიფიანის ვაჟი კოტე ყიფიანი გადმოგვცემს: „პოეტის და სოფიო, როგორც დედაჩემი ამბობდა, ძალიან ჰგავდა თავის ძმას, ნიკოს, ისე, რომ სოფიოს ულვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზე, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის, თუ ნიკო ბარათაშვილიო“.

1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (N577, 18 მაისი) გამოქვეყნდა ცნობა: „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობის კრება 15 მაისს გაიმართა გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით. გამგეობამ კრებაზე დაადგინა: „თანახმად ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა გამომცემელი კომისიის თხოვნისა, დაევალოს მ. თოიძეს, ა. მრევლიშვილს და ი. ნიკოლაძეს, რათა ამ ერთი კვირის განმავლობაში ინახულონ განსვენებული პოეტის და. მისი დახმარებით შეადარონ ბარათაშვილის სურათი, რომელიც დახატა მიხეილ თუმანიშვილმა“.

მხატვარმა მოსე თოიძემ ინახულა პოეტის და, ავადმყოფი ბარბარე ვეზირიშვილისა, რათა გასცნობოდა საგვარეულო ფოტოსურათებს და დის მოგონებებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის შესაქმნელად.

მხატვარი მ. თოიძე აღნიშნავს: „განცვიფრებული ვიყავი ესკიზის მსგავსებით იმ პირებთან, ვისი ფოტოსურათებიც ვეზირიშვილისამ მაჩვენა და თვით ვეზირიშვილთანაც“, ბარბარეს მ. თუმანიშვილისეულ ესკიზში თავის ძმა უცვნია.

მხატვრებმა მ. თოიძემ და ა. მრევლიშვილმა შეასრულეს დავალება. ამ ესკიზის საფუძველზე, ნ. ბარათაშვილის 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მხატვრების ლ. გუდიაშვილის, ო. ქოქიაშვილისა და ვ. კროტკოვის მიერ შესრულებული სურათები. ლადო გუდიაშვილმა 1955 წელს შექმნა ნ. ბარათაშვილის კიდევ ერ-



ნ. ბარათაშვილის ჭაბუკობის სავარაუდო პორტრეტი

თი ახალი პორტრეტი, რომელიც მიიღო სახელმწიფო კომისიამ და სადღეისოდ საყოველთაოდ აღიარებულ პორტრეტად ითვლება. ეს პორტრეტი პირობითი გამოსახულებაა ჩვენი დიდი მგოსნისა.

ნ. ბარათაშვილის დაგეროტიპული სურათის დაწვის შემდეგ დაიწყო სხვა სურათის ძებნა. პრესაში ქვეყნდებოდა სხვადასხვა სახის მოწოდებანი: „მოგვაწოდეთ ნ. ბარათაშვილის პორტრეტი“, რამაც ხელი შეუწყო პოეტის ყალბი პორტრეტების გამომზეურებას.

1904 წელს ჟურნალი „მოგზაური“ აცხადებდა: „1904 წელს ხელისმომწერნი ჟურნალის გარდა მიიღებენ ნ. ბარათაშვილის დიდ სურათს“. „მოგზაურის“ მიერ დაბეჭდილი და პრემიად დარიგებული, ნ. ბარათაშვილის პორტრეტად გამოცხადებული სურათი, რომელშიც პოეტი წარმოდგენილია ქულაჯაში, გადავარცხნილი თმით და მოკლე წვერ-ულვაშით, რედაქციისათვის გადაუცია ზაქარია ჭიჭინაძეს.

ეს სურათი აღმოჩნდა ალექსანდრე ციციშვილის პორტრეტი, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათად გაავრცელა. როცა საზოგადოებამ ხმა აღიმაღლა ჟურნალ „მოგზაურის“ მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილად გასაღებული პორტრეტის წინააღმდეგ, ყალბისმქნელებმა ხმა დაარხიეს, თითქოს მხატვარ ტარასი მომცემლიძეს ეს სურათი პოეტის დის სოფიო სუმბათაშვილის ფოტოსურათის მეშვეობით დაეხატა. მხატვარ ტ. მომცემლიძეს ალექსანდრე ციციშვილის სურათის რესტავრაცია გაუკეთებია, გადაუხატავს და გაუდიდებია, რასაც ადასტურებს მხატვრის ცოლი ელენე მომცემლიძე.

დიდუბის პანთეონში, ამ სურათის მიხედვით აპირებდნენ ძეგლის დადგმას, მაგრამ შემდეგ ბიუსტი შეიცვალა ლირით, რადგან დარწმუნდნენ, რომ აღმოჩენილი სურათი იყო ალექსანდრე ციციშვილისა და არა ნიკოლოზ ბარათაშვილის.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში დაცულ უცნობ პირთა პორტრეტებში გიორგი ლეონიძის ყურადღება მიიქცია ყავარჯნიანი ახალგაზრდის ერთმა სურათმა და ფიქრობდა, რომ შეიძლება ეს ყოფილიყო ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათი. ამ სურათის შესახებ ვ. ჩაჩანიძე წერს მონოგრაფიაში „სურათზე გამოსახული პიროვნების ვინაობა ჯერ კიდევ საძიებელია, ვარაუდით იგი ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა იყოს“.

ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, რადგან საქართველოში 1842 წლამდე ფოტოსურათი კი არა, მისი წინამორბედი – დაგეროტიპიც კი არ არსებობდა, ხოლო სურათზე წარმოდგენილი უცნობი პირი ახალგაზრდა ყმაწვილია. რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ყავარჯნების ისტორიას, მინდა მოკლედ ამ თემასაც შევეხო.

ნიკოლოზ ბარათაშვილს სახუმარო ლექსი მიუძღვნია ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილისადმი, რომლებიც ლუარსაბ ორბელიანის ქალიშვილები იყვნენ. ლუარსაბ ორბელიანი იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლის ძმა. ნიკოლოზის ლექსი დაკარგულად ითვლება, ხოლო მარიამ ფალავანდიშვილის საპასუხო ლექსი გადარჩა. ამ ლექსიდან ირკვევა, რომ ნ. ბარათაშვილი შეხებია ამ დების ასაკს და მათ უწოდებს თმებგათეთრებულ ასაკოვან ქალებს, სინამდვილეში კი ეს დები ნიკოლოზის ასაკისა არიან. პოეტისადმი მარიამის საპასუხო ლექსში არის ასეთი სტრიქონი: „სათვალეცა თქვენ გშვენისთ, ყავარჯენიც ხელშია, ჩვენ არ ვწუხვართ ამ ხანსა, ვაი თქვენი ბრალია“. მარიამის პასუხის გარდა, ვერ ვნახე ბარათაშვილის შესახებ მოგონებებში, ვინმე რომ ამბობდეს, ბარათაშვილი ყავარჯნებსა და სათვალეს ხმარობდაო, პირიქით, ყველა აღნიშნავს, რომ ნიკოლოზი ლეკურის შესანიშნავი შემსრულებელი იყო. მარიამ ფალავანდიშვილი ახლო მეგობარია პოეტის და, როგორც პოეტი „დასცინის“ მის ასაკს, მარიამიც საპასუხო სახუმარო ლექსში ხაზს უსვამს მის „სიკოჭლესა“ და მხედველობის სისუსტეს.

1968 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დ. შუღლიაშვილი აქვეყნებს წერილს „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტისათვის“ და გამოთქვამს ვარაუდს, რომ უცნობი პიროვნების სურათი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიულ ფონდში კონსტანტინე ბარათაშვილის ოჯახიდან შემოვიდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა იყოსო. იმავე, 1968 წელს ეს მოსაზრება კატეგორიულად უარყო აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ მონოგრაფიაში „ბარათაშვილის პოეტური გენია“. გ.ჯიბლაძე აღნიშნავს: „ჩვენ არ დავემყარეთ გაზეთში გამოქვეყნებულ (რეტუშირებულ) პორტრეტს და იმავე დღეს მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად მოვახდინეთ ორიგინალის ანალიზი“. ანალიზის შედეგად, კომისიამ საეჭვოდ მიიჩნია ახლად გამოქვეყნებული პორტრეტი.



ნ.ბარათაშვილის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ. 1955 წ.

დ. შუღლიაშვილმა 1984 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მე-7 ნომერში გამოაქვეყნა სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი“. ავტორი აღნიშნავს: „ჩვენი სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი არავითარ ეჭვს აღარ იწვევს. იგი უკვე აღმოჩენილად უნდა ჩაითვალოს“.

1974 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტების გარშემო კვლევა ჩაატარა ვასილ ჩაჩანიძემ და ამ საკითხისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ თბილისში ნიკოლოზ კვეზერელი-კოპაძის ოჯახში აღმოჩნდა ძველი ფოტოსურათები, რომლებითაც, თითქოს, დასტურდება, რომ ეს „უცნობი პირი“ არის არა ნიკოლოზ ბარათაშვილი, არამედ მისი მოგვარე ლევან დიმიტრის ძე ბარათაშვილი(1830-1877), რომელსაც 1874 წელს ცოლად შეურთავს თბილისელი მოქალაქის კვეზერელი-კოპაძის ქალი ნატალია, ხოლო გარდაცვალების შემდეგ დაუკრძალავთ ძველი მანგლისის ტაძრის გალავანში.

ეს საკითხი სერიოზულად გამოიკვლია ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ლევან თაქთაქიშვილმა და გაიზიარა ვ. ჩაჩანიძის მიერ მოძიებული ინფორმაცია, რომ ამ სურათზე არა ნიკოლოზ ბარათაშვილია, არამედ ლევან ბარათაშვილი, რადგან ასეთი სურათი აღმოჩნდა კვეზერელი-კოპაძის ოჯახში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დის ეკატერინე ერისთავის საკუთრებაში არსებული ხელით ნახატი დაკარგული პორტრეტის პოვნის იმედი ქართულ საზოგადოებას არ დაუკარგავს.

1897 წელს გაზეთები „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ იუწყებოდნენ: „ჩვენს ცნობილ გრავიორს გრ. ტატიშვილს შეუტყვია, რომ ერევანში ერთს სომეხ ვაჭარს ჩვენის უკვდავის მგოსნის ნიკ. ბარათაშვილის სურათი აქვს, წამლით ნახატი. ეს სომეხი, პოეტის კარგი და დაახლოებული ნაცნობი ყოფილა და მისი სურათიც მაშინ დაუხატვინებია, როცა ნიკ. ბარათაშვილი ერევნის მხარეს მსახურობდა. როგორც ვიცით, აქამდე ქართველ საზოგადოებას ყოველი იმედი ჰქონდა დაკარგული ნ. ბარათაშვილის სურათის შეძენისა. საჭიროა ერევანში მყოფმა ქართველებმა ამ საინტერესო ამბავს ყურადღება მიაქციონ და იმეცადინონ, რომ ჩვენის სასიქადულო პოეტის სურათი საზოგადოების საკუთრებად გახადონ“.

ქართული საზოგადოება დაინტერესდა ამ სურათით. ნიკოლოზ ბარათაშვილის 150 წლის იუბილესადმი მზადებასთან დაკავშირებით რამდენჯერმე იყო მცდელობა სომხეთში პორტრეტის მოძიებისა, მაგრამ უშედეგოდ.

1997 წელს, ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავთან დაკავშირებით, ლევან თაქთაქიშვილმა პოეტზე არსებული მოგონებებისა და მისი დების სურათების საფუძველზე გააკეთა ნ.ბარათაშვილის სურათის კომპიუტერული ვარიანტი, რომელიც დაამუშავა და სურათის სახე მისცა მოქანდაკე მარინა ივანიშვილმა. ეს სურათი მსგავსებას ამჟღავნებს პოეტის დებთან, მაგრამ 28 წლის ახალგაზრდის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. 2005 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის „თხზულებათა სრული კრებულის“ გამოცემასთან დაკავშირებით მხატვარმა ლევან ჭოღოშვილმა, ზემოთ აღნიშნულ პორტრეტზე დაყრდნობით, შექმნა პოეტის მხატვრული სახე, რომელიც ძლიერ წააგავს ნ. ბარათაშვილის უმცროს დას სოფიოს. ვფიქრობ, როგორც ლევან თაქთაქიშვილი აღნიშნავს, „მისაღები უნდა იყოს ქართული საზოგადოებისათვის“.

ჩემი მიზანი იყო ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მოწოდება, რათა ქართული საზოგადოება დამერწმუნებინა პოეტის რეალური პორტრეტის შექმნის შესაძლებლობაში თანამედროვე მეცნიერული მიღწევების საშუალებით.

## გზა ანჩისხატის უბნიდან განჯამდე

**ნიკოლოზ ბარათაშვილი შთამომავალია ბარათაშვილთა დიდი გვარისა. პოეტის პაპა ნიკოლოზ (ნინია) ბარათაშვილი ერეკლე მეორის სიძე ყოფილა, ძლიერ ენამახვილი და შესანიშნავი მთხრობელი. ნინიას კარგად სცოდნია რუსული. 1810 წელს „თან გაჰყოლია პეტერბურგში გადასახლებულ ბატონიშვილ თეიმურაზს, როგორც ნათესავი და მის ამალაში ჩარიცხულა“.**

პოეტის მამა მელიტონ ბარათაშვილი 1795 წელს დაბადებულა, დაუმთავრებია „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“, საკმაოდ განათლებული და მამასავით ტკბილმოსაუბრე ყოფილა, მშობლიური ენის გარდა კარგად სცოდნია რუსული, სომხური და თათრული ენები. 1810 წლიდან მელიტონი იყო საქართველოს მთავარმართებლის ტორმასოვის კანცელარიის თარჯიმანი. 1816 წელს „პორუტჩიკობა“ უბოძეს, 1820 წელს უკვე კაპიტანია, 1824 წელს დაინიშნა განჯის პო-



ლევან ჭოღოშვილის მიერ შესრულებული პოეტის პორტრეტი

ლიცმეისტერად და ოლქის უფროსად, ხოლო 1832 წელს მიუღია მაიორობა.

1835 წლის იანვარში მელიტონი ლოგინად ჩავარდნილა, ფიქრობდნენ, რომ ვერ გადარჩებოდა, მაგრამ მარტის დასაწყისში ოდნავ მოკეთებულა, რომლის თაობაზეც ზაქარია ორბელიანი თავის ძმას გრიგოლს სწერდა: „მელიტონ ეხლა კარგად არის, გამოძვრა სიკვდილისგან“.

1837 წელს მელიტონი თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლია, 1838 წელს გამოეთხოვა ამ თანამდებობას და 1839 წლის 8 ოქტომბრიდან ის განჯის ოლქის უფროსად იქნა განწესებული. აქ მან ორი წელი დაჰყო, შემდეგ სამსახური მიატოვა და თბილისში დაბრუნდა.

იონა მეუნარგია ასე აღწერს მელიტონის გარეგნობას: „ნიკოლოზის მამა, მელიტონ, კავალერიის თეთრს მუნდირში ჩამრგვალებული ჯმუხი ქართველი თავადი იყო“.

გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ილიას წერდა: „ჩვენი მელიტონი ისევ – ისეა, ანჩხლი, მჭყივანა, მყვირალა, თავის სახლის დამამწარებელი“. ძალზე განებივრებული, ფიცხი, ამაყი და თვითნება კაცი ყოფილა. ხელგაშლილმა უყაირათო ცხოვრებამ და გამუდმებულმა ავადმყოფობამ მელიტონი თანდათან უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო, მამულები ვალებში გაუყიდეს. 1844 წლის ოქტომბრის ბოლოს დამბლა დაეცა. გრიგოლ ორბელიანი ძმას ზაქარიას წერდა: „ილიასაგან მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა, შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე ამ ამბითა“. 1860 წლის დეკემბერში მელიტონი გარდაიცვალა და ოსიაურის მიწას მიაბარეს. დღეისთვის მისი საფლავი კარგად არის მოვლილი.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის დნმ-ს შესადარებლად შესაძლებელია ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში მამამისის ნეშტიდან გენეტიკური მასალის აღება. საფლავი კარგად არის შენახული.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა ეფემია ზურაბის (დიმიტრის) ასული ორბელიანი დაბადებული იყო 1799 წელს. დედამისი ხორეშანი იყო ერეკლე მეორის ქალიშვილის ელენეს შვილი. ეფემიას გარდა, ხორეშანს ჰყავდა სამი ვაჟი: გრიგოლი, ზაქარია და ილია. ეფემიას სურათი არ შემონახულა; თანამედროვეთა გადმოცემით, იგი ყოფილა ქერა, პირხმელი, ლამაზი ქალი, რომლის მაღალ ტანს მეტად შვენოდა გულპირმოჭრილი ქართული კაბა.

ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის მკვლევარი ი. ბალახაშვილი თავის მონოგრაფიაში აღნიშნავს: „ახლა, როცა ეფემიას ცხოვრებას ვეცნობით და ვკითხულობთ მის პირად ბარათებს, ცხადი ხდება, რომ მელანქოლია და უნაზესი ლირიზმი, რომელიც ასე ძალუმად ახასიათებდა პოეტს, უმთავრესად დედიდან მომდინარეობს. საგნებზე და მოვლენებზედაც დედა-შვილს თითქმის ერთნაირი შეხედულებანი ჰქონიათ“. პოეტი დედას მოფერებით „ფეფოს“ ეძახდა.

1849 წლის დასაწყისში ეფემია გარდაიცვალა და დაკრძალეს ქაშუეთის ეკლესიის გალავანში, მის საფლავს წარწერიანი ლოდი ეფარა. ჩემი მოსაზრებით, საფლავი უნდა დაკარგულიყო 1904-1910 წლებში ქაშუეთის ახალი ეკლესიის მშენებლობისას, ამჟამად საფლავი აღარ ჩანს. მისი ძმის გრიგოლ ორბელიანის საფლავი არის ქაშუეთის ეკლესიის გალავანში და უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგოლ ორბელიანს მისი დის ეფემიას გვერდით დაკრძალავდნენ.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი მამის მხრიდან იყო ერეკლე II-ის შვილიშვილის შვილი, ხოლო დედის მხრიდან ერეკლე II-ის შვილიშვილის შვილიშვილი. პოეტის დის ბარბარე ვეზირიშვილის ცნობით, „მელიტონი 18 წლისა იყო და ეფემია 15-ისა, ჯვარი რომ დაიწერეს“. ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ეფემიასა და მელიტონის სიყრმის შვილი. მელიტონმა მას პაპის სახელი დაარქვა, შინაურობაში ტატოს ეძახდნენ. ნიკოლოზის შემდეგ მათ გაუჩნდათ კიდევ 14 შვილი, რომელთაგან სრულ ასაკს ნიკოლოზის ოთხმა დამ მიაღწია:

**ეკატერინე ბარათაშვილი-ერისთავისა**, დაბადებული 1821 წლის 21 სექტემბერს. 1844 წლის 6 აპრილს ეკატერინე დაინიშნა გორელ მემამულე პროპორშჩიკ რევაზ ლუარსაბის ძე ქსნის ერისთავზე (1816-1881). ჯვრისწერა შემდგარა 1844 წლის 29 ივნისს. ეყოლათ ერთადერთი შვილი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი. კოლა ერისთავმა წამოიწყო ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, 1922 წელს დაიბეჭდა. ეკატერინე გარდაიცვალა 1853 წლის 20 მარტს, 31 წლისა. როგორც ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფები აღნიშნავენ, ბარათაშვილის ფერწერული ტილო ინახებოდა მასთან. დასაფლავებულია ოძისის ეკლესიაში.

**ბარბარე** დაიბადა 1826 წლის 28 აპრილს. 1852 წელს ბარბარე ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკ დიმიტრი ვეზირიშვილს. მას ჰყავდა შვილები: ნინო, ელისაბედი, გიორგი და მიხეილი. ბარბარე გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, 1919 წლის 1 აგვისტოს, 93 წლის ასაკში. დაკრძალულია ვერის იოვანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში.

**ნინო ბარათაშვილი** დაიბადა 1829 წლის 18 ივნისს. ნინო 1854 წლის ივლისში ჭავჭავაძის სახლობასთან ერთად ტყვედ წაიყვანეს შამილის ნაიბებმა. ნინო ცოლად ჰყავდა მწერალს ლეონიდ ბარათაშვილს. ნინოს ჰყავდა ერთი შვილი ნატალია. გარდაიცვალა 1906 წელს, 76 წლის ასაკში. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი დაგეროტიპი სწორედ ამ დასთან ნინო მელიტონის ასულთან ინახებოდა.

**სოფიო ბარათაშვილი** დაიბადა 1841 წლის 13 დეკემბერს. სოფიო უსაყვარლესი და იყო პოეტისა, მას ტატო „პლიპუტილას“ ეძახდა. „ძალიან ჰყვარებია ბარათაშვილს თავისი უმცროსი და სოფიო. ყოველ წერილში, რომელსაც კი სახლში ჰგზავნიდა, უსათუოდ ჰკი-თხულობდა როგორ არის ჩემი „ლილიპუტაო“. სოფიო ცოლად გაჰყვა ვასილ სუმბათაშვილს. თუ ნინო ბარათაშვილი საკმაოდ ჰგავდა პოეტს, სოფიო პირდაპირ განსახიერება ყოფილა ნ.ბარათაშვილისა. სოფიოს ჰყავდა ორი შვილი: ეკატერინე და გიორგი. სოფიო ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა გარდაიცვალა 1916 წელს, 75 წლის ასაკში.

**(გაგრძელება იქნება)**



# ვინ არის ემი დიაზი და რას ელის ქართული მხარე ვაშინგტონისგან

**საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ წარმომადგენლობაში საკადრო ცვლილება განხორციელდა. აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ალან პერსელმა საქართველო დატოვა, ხოლო მის ნაცვლად საელჩოს ხელმძღვანელობა ემი ვ. დიაზს დაეკისრა. საქართველოს ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებით რწმუნებულთან ემი დიაზთან უკვე გამართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებულ ორმხრივ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.**

## ვინ არის ემი ვ. დიაზი?

**ემი ვ. დიაზი აშშ-ის საგარეო სამსახურის მაღალი რანგის კარიერული დიპლომატია, რომელმაც თბილისში ელჩის მოვალეობის შემსრულებლის (საქმეთა დროებითი რწმუნებულის) პოზიცია 2026 წლის ივლისიდან დაიკავა.**

მის დიპლომატიურ კარიერას საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარი გამოცდილება ამშვენებს. დიაზი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს 2002 წელს, აშშ-ის პრეზიდენტის სახელობის მართვის სტიპენდიატთა პროგრამის ფარგლებში შეუერთდა, ხოლო 2005 წლიდან ოფიციალურად გახდა აშშ-ის საგარეო სამსახურის კარიერული დიპლომატი.

**სხვადასხვა წლებში მას ეკავა შემდეგი მნიშვნელოვანი თანამდებობები:**

**საქმეთა დროებითი რწმუნებული და მისიის ხელმძღვანელის მოადგილე აშშ-ის საელჩოში ლილონგვეში (მალავი);**

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპულ საქმეთა ბიუროს პოლიტიკისა და გლობალური საკითხების ოფისის დირექტორის მოადგილე;**

**საკონსულო განყოფილების უფროსი აშშ-ის საელჩოში ჰარარეში (ზიმბაბვე);**

**ნარკოტიკებთან ბრძოლის ჯგუფის ხელმძღვანელი აშშ-ის საელჩოში ქაბულში (ავღანეთი);**

**კანონის უზენაესობის მრჩეველი და □ამერიკის სამიტის□კოორდინატორი აშშ-ის საელჩოში პანამაში;**

**შიდა პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი აშშ-ის საელჩოში თბილისში;**

**ვიცე-კონსული აშშ-ის საელჩოში ჰარარეში და აშშ-ის გენერალურ საკონსულოში მონტერეიში (მექსიკა).**

**განათლების თვალსაზრისით, ემი დიაზმა ბაკალავრიატის ხარისხი მერილენდის შტატში, სენტ-ჯონის კოლეჯში (ანაპოლისი) მიიღო, ხოლო არიზონას უნივერსიტეტში სამართლის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. იგი სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მრავალჯერ არის დაჯილდოებული უმაღლესი ღირსების და განსაკუთრებული დამსახურების საპატიო ჯილდოებით. ემი დიაზი დაოჯახებულია და ჰყავს ერთი შვილი.**

## როტაცია თუ ურთიერთობების განახლების მცდელობა?

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაკა ბოჭორიშვილის განმარტებით, აღნიშნული ცვლილება ჩვეულებრივი დიპლომატიური როტაციის ნაწილია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თბილისში ახალი დიპლომატის დანიშვნულება ემთხვევა პერიოდს, როდესაც ქართული მხარე აქტიურად საუბრობს ვაშინგტონთან ურთიერთობების გადატვირთვასა და გაჯანსაღებაზე.**

მინისტრის თქმით, ბოლო თვეებში ორმხრივ ურთიერთობებში პოზიტიური ნიშნები შეინიშნება. მანვე დასძინა, რომ ვაშინგტონის მხრიდან ბოლო პერიოდში განხორციელებული აქტივობები მისასალმებელია და საქართველოს ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი პოზიციები ამერიკულ მხარეს გააცნოს.

## ქართული მხარის შეფასებები და მოლოდინები

**ქართველი ოფიციალური პირების განცხადებები მოწმობს, რომ თბილისი მზად არის აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან და დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობა □სუფთა ფურცლიდან□ დაიწყოს.** საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილის განცხადებით:

**□ჩვენი მხრიდან არის სრული მზაობა, რომ გავაგრძელოთ აშშ-სთან პოლიტიკური დიალოგი და იმავეს მოველით აშშ-ს მხრიდან... შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარე ვიზიარებთ იმას, რომ სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბარი სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ, თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია და ამასაც ვიზიარებთ აშშ-ს მხარესთან, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა კონკრეტული შინაარსით უნდა იყოს დატვირთული□** – ამბობს **ბოჭორიშვილი.**

ამრიგად, ემი დიაზის დანიშვნა თბილისში, ამერიკული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად ემთხვევა ეტაპს, როდესაც ქართული მხარე აშშ-თან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავების, არასამართლიანი მიდგომების შეცვლისა და სტრატეგიული პარტნიორობის ახალი, რეალური შინაარსით შევსების მოლოდინშია.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# აშშ 50 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოსთვისაც სავიზო გირაოს პროგრამას აკანონებს!

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მუდმივ რეჟიმში გადაიყვანს სავიზო გირაოს პროგრამას, რომლის ფარგლებში დაახლოებით 50 ქვეყნის მოქალაქეებს აშშ-ის ვიზის მიღებისას, შესაძლოა, 20 000 დოლარამდე ოდენობის გირაოს გადახდა დაეკისროთ, □□როიტერის□ცნობით**, – ამის შესახებ აღნიშნულია ფედერალური რეესტრის მიერ გამოქვეყნებულ შეტყობინებაში.

ცვლილება ეხება **B1** და **B2** კატეგორიის ვიზებს, რომლებიც საქმიანი და ტურისტული მოგზაურობისთვის გაიცემა. დოკუმენტის მიხედვით, საკონსულო ოფიცრებს უფლება ექნებათ, კონკრეტულ შემთხვევებში ვიზის გაცემის წინაპირობად 20 000 დოლარამდე გირაოს გადახდა დააწესონ.

შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ 2025 წლის საპილოტე სავიზო გირაოს პროგრამამ სახელმწიფო დეპარტამენტს, შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტსა და სახაზინო დეპარტამენტს აჩვენა, რომ ეს მექანიზმი ეფექტიანია ვიზის პირობების შესრულების უზრუნველყოფისთვის.

**საპილოტე პროგრამის ფარგლებში გირაოს ოდენობა 5 000, 10 000 ან 15 000 დოლარი იყო. ახალი წესით 5 000-დოლარიანი ვარიანტი გაუქმდა, ხოლო მაქსიმალური თანხა 20 000 დოლარამდე გაიზარდა.**

**საბოლოო რეგულაცია 3 აგვისტოდან, ფედერალურ რეესტრში გამოქვეყნებისთანავე შევა ძალაში. პროგრამა შეეხება 50 ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაგან 30 აფრიკის კონტინენტზე მდებარეობს. სიაში არის საქართველოც.**

აშშ-ის ხელისუფლების განცხადებით, ახალი პოლიტიკის მიზანია ვიზის ვადის გადაცილების შემთხვევების შემცირება, თუმცა იმიგრაციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ეს ზომა აშშ-ში ლეგიტიმური მოგზაურობის მსურველებსაც შეაფერხებს.

**უფლებადამცველები აცხადებენ, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკა ზღუდავს სიტყვის თავისუფლებასა და სამართლებრივი პროცესის გარანტიებს, ქმნის საფრთხის შემცველ გარემოს ეთნიკური უმცირესობებისთვის და ხელს უწყობს რასობრივ პროფილირებას.**

თავის მხრივ, ტრამპი ამ ზომებს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებისთვის აუცილებელ საშუალებად მიიჩნევს.

**□როიტერის□მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ, ტრამპის განცხადებით, მისი მთავარი მიზანი არალეგალური იმიგრაციის შეზღუდვაა, მისმა ადმინისტრაციამ ლეგალური იმიგრაციის პროცესიც გაამკაცრა. მათ შორის, გარკვეული კატეგორიის ვიზების მსურველებისთვის დაწესდა ახალი და უფრო მაღალი გადასახადები, ხოლო განმცხადებლებისა და უკვე აშშ-ში მყოფი იმიგრანტებისთვის სოციალური ქსელების დამატებითი შემოწმება სავალდებულო გახდა.**



# გეიზენჰაიმის უნივერსიტეტის სტუდენტები ჯიღაურისა და წილკნის ბაზებზე იმყოფებოდნენ

**გერმანიის გეიზენჰაიმის უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულების სტუდენტები სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურისა და წილკნის სამეცნიერო ბაზებზე სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ,** – ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ვიზიტის ფარგლებში ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა **ლევან უჯმაჯურიძემ** სტუდენტებს მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით ცენტრის საქმიანობა და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტები გააცნო. განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ვაზის მდიდარ გენეტიკურ მემკვიდრეობაზე, ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნებასა და მათი დაცვისა და კვლევის მნიშვნელობაზე გაამახვილა. ჯიღაურის ბაზაზე სტუდენტებმა ვაზის საკოლექციო ნარგაობა, კვლევითი ლაბორატორიები, ვაზისა და ღვინის სამუზეუმო სივრცე დაათვალიერეს. ცენტრის მევენახეობა-მეღვინეობის კვლევის სამსახურის უფროსმა დავით ჩიჩუამ სტუდენტებს ქართული ტრადიციული მეღვინეობის, ქვევრში ღვინის დაყენებისა და დავარგების ტექნოლოგიების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა. ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებმა ჯიღაურის ბაზაზე იშვიათი ქართული ვაზის ჯიშებისგან დამზადებული ღვინის ნიმუშები დააგემოვნეს.

**წილკნის ბაზაზე სტუდენტებმა დაათვალიერეს ქსოვილის კულტურის (ინ ვიტრო) ლაბორატორია, სადაც მცენარეთა მიკროკლონური გამრავლების თანამედროვე მეთოდებსა და ლაბორატორიის საქმიანობას გაეცნენ. ასევე მოინახულეს პროფ. ივანე სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორია, სადაც ნიადაგის ანალიზის ძირითად მიმართულებებსა და მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მიიღეს ინფორმაცია. ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებმა ერთწლოვანი კულტურების სათბურებიც დაათვალიერეს.**

# „აზიის ლომი“ უკან არ იხევს!



**აშშ-ის გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ (The New York Times)** 31 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ტრამპს ირანი სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს: აშშ-ის პრეზიდენტისათვის ირანი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა“** (ავტორები – **ერიკ შმიტი, ჯულიან ბარნსი** და **ჰელენა კუპერი**). **„აშშ-ის პრეზიდენტი გოლთას სცემს, ცეცხლის შეწყვეტის გზებს ეძებს, მაგრამ უშედეგოდ. არადა, ყველაფერი აშშ-სა და ისრაელის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგია, როცა მათ აიათოლა ალი ხამენეი მოკლეს“** – ასეთია სტატიის დედააზრი.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The New York Times

# ამერიკისთვის ირანი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა

პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა, მართალია, ისევ უარყო სრულმასშტაბიანი ომის განახლების შესაძლებლობა, მაგრამ „ომი მცირე მასშტაბით“ მაინც გრძელდება. ამერიკის ლიდერი ჯერ კიდევ ვერ პოულობს გამოსავალს მის მიერ დაწყებული კონფლიქტიდან: ირანი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა.**

**ამ დღეებში ორივე მხარემ „რაკეტული დარტყმები გაცვალეს“ – ირანმა აშშ-ის ბაზებს დაარტყა იორდანიაში, აშშ-მა კი ირანის კომუნიკაციებს. აშშ-ის მოკავშირე საუდის არაბეთმაც თავისი წვლილი შეიტანა დაპირისპირების მორიგ ესკალაციაში – დაარტყა ირანის მოკავშირე ისლამურ დაჯგუფებებს ერაყში. „ცეცხლზე ნავთი დაასხა“ უკრაინული დრონის დარტყმამ კასპიის ზღვაში მცურავ ირანის გემზე, რის შედეგადაც კიევსა და თეირანს შორის ურთიერთობა გამწვავდა.**

**ომი, რომლის შეწყვეტას დონალდ ტრამპი აპრილიდან დიპლომატიური გზებით ცდილობს, მთელ რეგიონზე გავრცელებით იმუქრება და ეს ხდება სწორედ იმ მომენტში, როცა აშშ მის დასრულებას ესწრაფვის.**

**„ომს რომ იწყებდა, დონალდ ტრამპი ვარაუდობდა, რომ საომარი პროცესის გაკონტროლებას შეძლებდა“** – ამბობს **ვალი ნასრი**, ჯონ ჰოპკინსის საერთაშორისო კვლევების სკოლის პროფესორი, წარმოშობით ირანელი – **„ირანის პასუხი ისეთია, რომ თეირანს ბრძოლის ველის მკვეთრად გაფართოება სურს. შესაბამისად, ამერიკას თავდაცვა საომარი მოქმედებების სულ უფრო ფართო თეატრში უწევს“**.

ექსპერტთა თქმით, ომის ამჟამინდელ ეტაპზე, რომელიც ისრაელმა და აშშ-მა ხუთი თვის წინათ გააჩაღეს, ირანი ცნობილი სამხედრო პრინციპის დემონსტრირებას ცდილობს: ნებისმიერ მოწინააღმდეგეს შეუძლია მეორისთვის თავისი ნების თავსმოხვევა და კონფლიქტზე გავლენის მოხდენა.

**„ირანს სურს აჩვენოს, რომ სულაც არ ფიქრობს გულზე ხელებდაკრეფილი იყოს და ელოდოს, სანამ აშშ და ისრაელი მას დარტყმას მიაყენებს“** – აღნიშნავს **ჯეისონ კემპბელი** აშშ-ის ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტიდან, – **„თეირანი ცდილობს ინიციატივა თვითონ გამოიჩინოს და როგორც მინიმუმი, აშშ და ისრაელი უკან დახევაზე აიძულოს“**.

**აშშ-ის სამხედრო სარდლობამ დონალდ ტრამპისათვის გეგმა მოამზადა, რომელიც დაბომბვების მორიგ მრავალდღიან კამპანიას ითვალისწინებს. შეტევის მომზადების ჩარჩოებში პენტაგონმა ისრაელში ავიაცია გადაისროლა: ბომბდამშენები და გამანადგურებლები იქ იმ დრომდე დარჩებიან, სანამ დონალდ ტრამპი გადაწყვეტილებას არ შეცვლის**

როგორც ცნობილი გახდა ორი ანონიმური წყაროს მეშვეობით, ამ გეგმის განხილვა-მსჯელობის დროს, შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ დენ კეინმა კონფიდენციალური ხასიათის გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა, რომლის თანახმად, ირანის წინააღმდეგ მსხვილი საბრძოლო ოპერაციების განახლება შესაძლებელია და გეგმა შესრულდება კიდეც, მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ აშშ-ის ცენტრალური სარდლობის რეზერვები „დამჭერი“ რაკეტების მხრივ სწრაფად შემცირდება სახიფათო რაოდენობამდე.

თავის მხრივ, ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელმა, ადმირალმა **ბრედ კუპერმა** განაცხადა, რომ თუ დონალდ ტრამპი მსხვილ საბრძოლო ოპერაციებს არ განაახლებს, მაშინ პენტაგონს მოუწევს შეწყვიტოს ჰორმუზის სრუტის აკვატორიის დაბომბვებიც, რადგან მათ უკვე მიაღწიეს თავისი ეფექტურობის ფარგლებს და სარგებლობის მოტანა აღარ შეუძლიათ. საქმე იმაშია, რომ სრუტის ირანულ ნაპირებზე დარტყმების მიზანი იყო საერთაშორისო ნაოსნობის აღდგენა და თუ ამდენი ხნის დაბომბვის განმავლობაში თავისუფალი ცურვა მაინც ვერ აღდგა, ეს ნიშნავს, რომ აკვატორიისადმი დარტყმებს აზრი აღარ აქვს.

ოთხშაბათს ცენტრალურმა სარდლობამ განაცხადა, რომ დაბომბა ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ობიექტები, **„სამეთაურო ცენტრების, რაკეტების გამშვები დანადგარებისა და საზღვაო ობიექტების ჩათვლით“**.

ტელეარხ „ფოქს-ნიუსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში **დონალდ ტრამპმა** – როგორც ჩანს, სპეციალურად, აღნიშნა, რომ ამერიკა იძულებულია ირანი დაბომბოს, მაგრამ არასასიამოვნოა, რომ დარტყმების შედეგად სამოქალაქო მოსახლეობაც ზარალდება. და თუ პენტაგონი უფრო მსხვილ შეტევებს განახორციელებს – ანუ ხიდებს და ელექტროსადგურებს კიდევ დაბომბავს, მაშინ... **„ვინ დაზარალდება ყველაზე მეტად? ისევ მოსახლეობა, უდანაშაულო ადამიანები. ასე რომ, მე ამას არ გავაკეთებ“** – თქვა პრეზიდენტმა.

**ამრიგად, ერთი მხრივ დონალდ ტრამპის ეჭვებისა და „კაცთმოყვარეობის გამო“, ხოლო მეორე მხრივ, მისი დაპირებით, რომ ირანს გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებს, აშშ-ის სტრატეგია გაუგებარია.**

**ცოტა ხნის წინათ ისე ჩანდა, რომ დონალდ ტრამპს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ირანის დაბრუნება მოლაპარაკების მაგიდასთან. ზოგიერთი ქვეყანა, რომლებმაც შუამავლის როლის შესრულება იკისრეს – პაკისტანისა და კატარის ჩათვლით, ცდილობენ ნიადაგი მოამზადონ მოლაპარაკების გასაგრძელებლად. მაგრამ ექსპერტები ღრმა სკეფსისს გამოხატავენ იმ „ზარიგების“ მიმართ, რომლის დადებაზე შეიძლება დონალდ ტრამპი დათანხმდეს.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჩინოვნიკები უკვე თითქმის აღარ უბრუნდებიან და აღარ იხსენებენ იმ პრიორიტეტებს, რომლებიც ომის დასაწყისში იყო – ირანის ბირთვული პროგრამის ლიკვიდაციას, მისი რაკეტული პოტენციალის მოსპობას და ირანის მარიონეტების შეკავებას. ფაქტიურად, აშშ-მა ვერცერთის შესრულება ვერ შეძლო.

**„ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ომის დასაბუთება მნიშვნელოვნად შეიცვალა“** – ამბობს **ჯეისონ კემპბელი**, – **„ბოლო დროს დონალდ ტრამპი და მისი მაღალჩინოსნები თუ რამეზე ლაპარაკობენ, მხოლოდ ბირთვულ პროგრამაზე, სხვა პრიორიტეტები დავიწყებულია“**.

**დონალდ ტრამპისათვის უმნიშვნელოვანესი მიზანია კვლავ გახსნას ჰორმუზის სრუტე, თანაც ისე, რომ შეერთებულმა შტატებმა და მისმა არმიამ სახე არ დაკარგოს.**

**და სანამ სრუტეში თავისუფალი ცურვა არ აღდგება – რასაც ხელს უშლის ირანის მუქარები ცეცხლი გაუხსნას მის უნებართვოდ შესულ ტანკერებს და სადაზღვევო კომპანიების ეჭვები – მანამ ნავთობზე ფასების ზრდა გაგრძელდება.**

**„რადგანაც ჰორმუზის სრუტის კონტროლის საკითხი გადაუწყვეტი რჩება, არაფერი რომ არ ვთქვათ ირანის ბირთვულ ამბიციებზე და ომის დაწყების სხვა თავდაპირველ მოტივებზე, საომარი მოქმედებების სპირალი სულ უფრო მეტად დაიძაბება“** – ამბობს **მონა იაკუბიანი** სტრატეგიული კვლევების ცენტრის ახლო აღმოსავლეთის პროგრამების დირექტორი.

შეიძლება ბევრს უცნაურადაც მოეჩვენოს, მაგრამ ის, რომ დღეს აშშ-ის ადმინისტრაცია სიძნელეებს განიცდის ირანთან ომში, სწორედ ომის დასაწყისში მოპოვებული წარმატებების ბრალია. აიათოლა ალი ხამენეი, ირანის უზენაესი ლიდერი 37 წლის განმავლობაში, ომი პირველივე დღეს იქნა მოკლული ისრაელის სარაკეტო ზალპით. იგი სწრაფად შეცვალა მისმა ვაჟმა მოჯთაბამ, რომელიც მამაზე უფრო ულმობელი გამოდგა. მოჯთაბასთვის უცხოა ის სიფრთხილე, რასაც ალი ხამენეი იჩენდა. ამერიკულმა სპეცსამსახურებმა დაასკვნეს, რომ შვილი უფრო მეტად არის დაინტერესებული ბირთვული იარაღის შექმნით, რომლისგანაც მამამისი დროდადრო დისტანცირებდა ხოლმე (ვთქვათ, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს დადებული შეთანხმებით).

უფრო მეტიც: ირანის რეჟიმის ძველი ლიდერები, რომელთა უმეტესი ნაწილი უკვე დაღუპულია, ხშირად თავიანთ გადაწყვეტილებებს აწონილ-დაწონილად იღებდნენ: ერთი მხრივ, ისე მოქმედებდნენ, რომ საკუთარი მოქალაქეების წინაშე სახელს არ იტეხდნენ და მეორე მხრივ, თავს არიდებდნენ აშშ-სთან რეალურ ესკალაციას. **„სწორედ ასეთი პიროვნება იყო თვითონ აიათოლა ალი ხამენეი“** – ამბობს **ვალი ნასრი.**

**„ირანის ახალი ლიდერები კი ისწრაფვიან რაც შეიძლება მეტი დარტყმა მიაყენონ ამერიკას და მის მოკავშირეებს და მეტად დააზარალონ. ისინი ფიქრობენ, რომ ამით სამომავლო ომს თავიდან აიცილებენ“** – აღნიშნავს ექსპერტი.

დიდი ბრიტანეთის ყოფილი ელჩი ირანში, კატარსა და იემენში ნიკოლას ჰოპტონი ხუთთვიან ომს ისეთ „ავანტიურას“ უწოდებს, რომელიც შეუძლებელია მხოლოდ სამხედრო საშუალებით გადაწყდეს.

**„როგორც ჩანს, აშშ-ის პრეზიდენტი ჯერაც ვერ გარკვეულა იმაში – სურს თუ არა მას ომი მოლაპარაკების მაგიდასთან დაასრულოს თუ შეეცადოს რაიმე სამხედრო წარმატების მიღწევას, რომელიც, საქმის მცოდნე დამკვირვებლების აზრით, არ იმუშავებს“** – ასკვნის **ნიკოლას ჰოპტონი**, რომელიც ამჟამად ლონდონში არსებული გაერთიანებული სამხედრო კვლევების სამეფო ინსტიტუტის საპატიო მეცნიერ-თანამშრომელია.



მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**

## ირანული სამხედრო წყაროები უარყოფენ დონალდ ტრამპის განცხადებას!..

**ირანის სამხედრო წყაროებმა უარყვეს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განცხადება იმის თაობაზე, რომ თეირანმა ვაშინგტონს სამხედრო დარტყმების შეჩერება სთხოვა,** – ინფორმაციას **„როიტერი“** ირანულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, თეირანში ტრამპის განცხადებას **„კიდევ ერთი ტყუილი“** უწოდეს. წყაროების შეფასებით, ტრამპის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტი სპარსეთის ყურის ქვეყნებზე ზეწოლის მცდელობას წარმოადგენს. მათი თქმით, ირანის შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში რჩებიან.

**„დაპირისპირება თუ გარდაუვალი გახდება, ყველაფერს ბრძოლის ველი გადაწყვეტს. მაშინ ყველა დაინახავს, ვის ხელშია ძალა და ვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა“** – აცხადებენ ირანული სამხედრო წყაროები.

**ცნობისთვის, დონალდ ტრამპმა მანამდე განაცხადა, რომ ირანისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების თხოვნის საფუძველზე ირანზე ახალი დარტყმები შეაჩერა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, მოხერხდება თუ არა შეთანხმების სწრაფად მიღწევა.**

# თვალი გავუსწოროთ მომავალს



## დავით ახლოური:

**საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი.**

## ახალგორელთა არზა ახვერდოვს

ამდენად, აჯანყებიდან სამი წლის შემდეგ, 1807 წელს, ქსნისხეველ გლეხებს რუსეთისთვის კიდევ ერთხელ უნდა დაემტკიცებინათ, რომ ისინი მხოლოდ ერისთავებისადმი გამოხატავდნენ უკმაყოფილებას და თავის დროზე მთიულეთის აჯანყებას არ თანაუგრძნობდნენ:

**„რამთონჯერაც შევიყარენით, ამ ჩვენმა ბატონებმა ბუნტობა დაარქვეს, რომელიცა არცა გუნებაში გაგვი(ვ)ლია. ჩვენ ხელმწიფის მუხანათობა და ბუნტობა გვნდომიყო, როდესაც სხვანი ბუნტობდნენ, ჩვენც მაშინ გვებუნტაა – ის არა სჯობდა? სხვანიც ამხანაგნი გვეყოლებოდნენ. მაგრამ ჩვენ არცა რა ბუნტობა გვნდომია და არცა ვისიმე წინააღმდეგი გვიქნია. თუ ამ ჩვენს ბატონებზე ესენი წავიდნენ და მის ბრწყინვალებას ღრუზელნატორთან დაგვაბეზღეს, იმან უძლეველი მხედრობა მოგვისია. ეს თუმცა მისი ბრწყინვალება ორბელიანი პეტრე არ დაგვსწრებიყო აქა, გაუკითხავად და საწყლად ამოგვწყვეტდენ“.**

როგორც წერილიდან ჩანს, როცა საქმე ერთი ბატონის არჩევაზე მიდგა, გლეხებს მიხეილ ერისთავი გამოურჩევიათ, **„რადგან ჭკუა და ღვთის შიში ყველაზე მეტი ჰქონდა, ყმისა და მამულის უკეთ შაეძლო“.**

გლეხთაგან რჩეული მიხეილი რუსეთის ჯარში გაიწვიეს, ყმათა და მამულთა გაყოფა კი საერისთავოს არსებობამდე გრძელდებოდა... უნდა ითქვას, რომ „ეს არ იყო პირველი არზა, რომელშიც ქსნისხეობელები წყენას გამოხატავენ, მაგრამ მათი უმრავლესობა, უმაღლეს ხელისუფლებამდე ვერ აღწევდა, ამის მიზეზი სხვადასხვა პირები ყოფილან, მათ შორის შანშე ერისთავიცაა დადანაშაულებული: „ერთხელ ერთი კაცი გამოვგზავნეთ რომ ამბავი გვინდა შეგვეტყო ჩვენის ბატონისა და მოხელეებისა დაჭერილნი არიან თუ რა ქნეს. ამბავი რომ ვეღარა გავიგონეთ რა, ის კაცი რომ არავის გამოეშვა, გამოპარულიყო, შანშეს ენახა, ვეღარც ბატონთან მიე(ღ)წიათ, ვეღარც მოხელეები ენახათ. გამოქცეულიყვნენ და წამოსულიყვნენ, შანშე გამოსდგომოდა და მცხეთამდინ ედევნა სასიკვდილოდ“... ქსნისხეველთა არზა საკმაოდ ვრცელია...

საყურადღებოა კიდევ ერთი სიგელი, დათარიღებული 1809 წლის ახლო პერიოდით, რომელიც გახლავთ „უცნობი აზნაურის საჩივარი მისდამი ჩადენილ ძალმომრეობათა შესახებ“, იგი თავს სახელმწიფო მოხელედ აცხადებს და ცდილობს ქსნის ერისთავთა ყრმობისგან განთავისუფლდეს. **„სამი წელიწადია ამ ტანჯვაში ვარ. ცოლშვილი მეხოცებიან შიმშილით. ორი წელიწადი ხალხისაგან ვიტანჯებოდი და ერთი წელიწადია ელიზბარ ერისთავისაგან ვარ ტანჯვაში. ჩემმა ცოლშვილმა, წვრილმა ყმაწვილებმა რა დააშავეს და ან რა აქვთ ბრალი“** – ეს სიტყვებიც მიგვანიშნებს, რომ ქსნელ მებატონეებს არა მხოლოდ გლეხები, აზნაურებიც უჩიოდნენ.

ჩვენი დაკვირვებით, მომჩივარი იკოთში მცხოვრები ფიცხელაურთა სახლის წარმომადგენელი უნდა იყოს... ისიც თავის წუხილის მიზეზად ქსნის ერისთავებს მიიჩნევს და რუსთა საწინააღმდეგო არაფერი აქვს: „როდესაც ლამისყანას უძლეველი ჯარი როსიისა მოვიდა და იყვნენ მათ შინა ერისთოვნი, ვიყავ მე იმ ჟამად ჩემსა სოფელსა შინა იკოთს და იქიდამ გაუგზავნე თავისი ერთგული კაცი შანშე ერისთოვსა ბასილა მემარნის შვილი და შეუთვალე, ვედრებითა ვთხოვე, რომელ უძლეველი ჯარი იგი მოეყვანა სოფელსა შინა ჩემსა და იქიდამ ესაქმათ, რომელიცა არის დამსწრე მღდელი გიგაური მახარობელი, მსახლობელი იკოთის“. ლამისყანიდან რუსები, ერისთავების თანხლებით ახალგორში შემოვიდნენ... მეამბოხეთა „დასამშვიდებლად“ მოვლენილი „უძლეველი ჯარი როსიისა“ ქსნისხეველებს ხელმწიფისა და მისი მომხრე ერისთავების ერთგულებას აიძულებდა, აკი სწუხდნენ კიდეც გლეხები, პეტრე ორბელიანი რომ არ დაგვსწრებიყო, „გაუკითხავად და საწყლად ამოგვწყვეტდენო“.

ხალხის მრისხანება არა მხოლოდ ახალი, არამედ ძველი მებატონეებისადმიც იყო მიმართული, რაზეც მიგვანიშნებს ჩვენთვის უცნობი აზნაური თავისი საჩივრის არზაში – ხალხისგან ცოლ-შვილის ავად მოპყრობისა მეშინოდაო.

წლების განმავლობაში გრძელდებოდა გლეხთა უკმაყოფილება, მაგრამ მათი არავის ესმოდა, ამის გამო შანშე ერისთავის სახლები დაუწვიათ... ქსნის ხეობის მოსახლეობის მოსალოდნელი ამბოხის ჩასახშობად, ახალგორში მე-9 ეგერთა პოლკი იდგა. მთავარმართებელ ტორმასოვისადმი გუდოვიჩის 1809 წლის მიმართვიდან ჩანს, რომ რუსები ნებისმიერ დროს სრულ მზადყოფნაში იყვნენ დამსჯელი ღონისძიებებისთვის. მხოლოდ 1915 წელს გაახსენდათ რუსებს აჯანყებულები, მაშინ, როცა აღარც ქსნელი თავადები მოუვადათ თვალში და ამ უკმაყოფილების საბაბით საერისთავო გააუქმეს...

ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ახალგორი თანდათანობით კარგავს თავის პოლიტიკურ მნიშვნელობას და სოფლის სტატუსს იძენს. 1960 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი სადაბო ცენტრად გამოცხადდა... 1935-1991 წლებში ცნობილი იყო ლენინგორის სახელით. გასული საუკუნის 90-იან წლებში ახალგორმა დაიბრუნა ისტორიული სახელწოდება, თუმცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ოკუპანტებს ისევ გაახსენდათ მისი საბჭოური სახელი და დღესაც ასე მოიხსენიებენ.

(გაგრძელება იქნება)



ახალგორი (ლენინგორი)




## იტალიაში „სიცხის განგაშია“!

**იტალია თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში მაღალი ტემპერატურის გამო განგაშის უმაღლეს, „წითელ“ დონეს აცხადებს, რადგან ქვეყანა სიცხის ახალმა ტალღამ მოიცვა.**

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე 19 ქალაქი – მათ შორის დედაქალაქი რომი, მილანი, ვენეცია და ნეაპოლი – უკვე „წითელი განგაშის“ ზონაშია, ორშაბათიდან კი ეს მდგომარეობა ქვეყნის 27 მსხვილი ქალაქიდან 25-ს შეეხება. გამონაკლისებია რეჯო-კალაბრია და მესინა, სადაც განგაშის „ნარინჯისფერი“ დონე იმოქმედებს. შაბათს ბევრ ადგილას ტემპერატურამ 35°C-ს გადააჭარბა. ხელისუფლება აფრთხილებს მოსახლეობას, რომ საფრთხე ემუქრებათ არა მხოლოდ მოწყვლად ჯგუფებს (ხანდაზმულებს, პატარა ბავშვებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს), არამედ სრულიად ჯანმრთელ და აქტიურ ადამიანებსაც. სპეციალისტები მოსახლეობას მოუწოდებენ, მოერიდონ სიცხესა და მზის პირდაპირ სხივებს ყველაზე ცხელ პერიოდში – 11:00-დან 18:00 საათამდე, დარჩნენ შენობებში და მიიღონ დიდი რაოდენობით სითხე.

## დუნაიში მამონტის ნაშთები აღმოაჩინეს



**გულგარეთში, დუნაის ნაპირზე, მამონტის ნაშთები აღმოაჩინეს, რომლებიც წყლის დონის მკვეთრი დაწევის შემდეგ გამოჩნდა. ძვლები სოფელ რიახოვოს მცხოვრებმა შემთხვევით შენიშნა, რის შემდეგაც ისინი რეგიონული ისტორიული მუზეუმის სპეციალისტებს გადასცეს.**

მუზეუმის დირექტორის **ნიკოლაი ნენოვის** თქმით, ნაპოვნ ნაშთებს შორის არის ქვედა ყბის ძვალი, ეშვის ფრაგმენტები, ბეჭის ნაწილი და ბარძაყის ძვალი. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ყველა ნაპოვნი ფრაგმენტი ერთ ახალგაზრდა მამონტს ეკუთვნოდა. **ძვლების მუქი ელფერი შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ ისინი დიდი ხნის განმავლობაში ჭაობიან გარემოში იმყოფებოდნენ. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მსგავსი აღმოჩენები იშვიათია, ვინაიდან ნაშთები კარგად არის შემონახული და ერთ ადგილზეა თავმოყრილი. მამონტები გამყინვარების ხანაში პირველყოფილ ადამიანებთან ერთად ბინადრობდნენ.** ადამიანები ამ ცხოველებზე ნადირობდნენ – ხორცს საკვებად იყენებდნენ, ძვლებსა და ეშვებს კი სხვადასხვა ნივთის დასამზადებლად. სახეობა დაახლოებით 4 ათასი წლის წინ გაქრა, თუმცა მისი ნაშთების პოვნა სხვადასხვა რეგიონში კვლავ გრძელდება.

## IRBUS-ის თვითმფრინავმა ისტორიული რეკორდი დაამყარა



**ლაინერმა Airbus A350-1000 ULR-მა ისტორიაში ავსტრალიიდან ევროპაში პირველი უწყვეტი ფრენა შეასრულა, რა დროსაც ჰაერში 24 საათი და 24 წუთი გაატარა. ამ დროის განმავლობაში თვითმფრინავმა 23 ათას კილომეტრზე დიდი მანძილი დაფარა, გადაუფრინა ორ ოკეანესა და სამ კონტინენტს. ეკიპაჟმა ორი აისისა და ორი დაისის ნახვა მოასწრო.**

ბორტზე მგზავრები არ ყოფილან – მხოლოდ პილოტები, ინჟინრები, Airbus-ისა და ავსტრალიური ავიაკომპანია Qantas-ის სპეციალისტები. ფრენა პროექტ Project Sunrise-ის ნაწილი გახდა, რომლის მიზანიც მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი რეგულარული პირდაპირი რეისების გაშვებაა. უკვე 2027 წლიდან Qantas-ი პირდაპირი რეისების განხორციელებას გეგმავს მარშრუტზე სიდნეი – ლონდონი, მოგვიანებით კი სიდნეი – ნიუ-იორკი. ამისთვის შეკვეთილია 12 სპეციალურად მოდიფიცირებული Airbus A350-1000 ULR საწვავის გაზრდილი მარაგით (დამატებითი 20 000-ლიტრიანი ავზით). რეკორდული მანძილის მიუხედავად, სალონში სულ 238 ადგილი იქნება, რათა მგზავრებს თითქმის 20-საათიანი ფრენისას მეტი სივრცე და კომფორტი შეექმნათ. ამ სატესტო რეისს Flightradar24 სერვისზე 3,6 მილიონზე მეტი ადამიანი ადევნებდა თვალს – ონლაინ-მაყურებელთა რაოდენობით ეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფრენა გახდა.

# რა ტემპერატურას ვერ უძლებს ადამიანის ორგანიზმი?!

**ადამიანისთვის დიდი ხნის განმავლობაში უსაფრთხოდ მიჩნეულ 35-გრადუსიან სიცხეს ჯანმრთელი ადამიანებიც კი ვერ უძლებენ – ასეთია პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგი, რომელმაც შეამოწმა, რამდენად კარგად არის ჩვენი სხეული ადაპტირებული ხანგრძლივ სიცხესთან.**

2026 წლის ზაფხულმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ეს საკითხი მხოლოდ თეორიული არაა. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციისა (WMO) და Copernicus-ის კლიმატის ცვლილების სამსახურის (C3S) მონაცემებით, 2026 წლის ივნისი დასავლეთ ევროპისთვის ისტორიაში ყველაზე ცხელი ივნისი გახდა, ხოლო გლობალურად – მეორე ყველაზე ცხელი. მაისის ბოლოდან ევროპაში ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ძლიერი სიცხის ტალღა გავრცელდა: საფრანგეთში 24 ივნისს დაფიქსირდა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ცხელი დღე (საშუალო ტემპერატურამ 30°C შეადგინა, ხოლო პულუოს დაბაში მაჩვენებელმა 43.8°C-ს მიაღწია); ნიდერლანდებმა 26 ივნისს დაადგინა ახალი ეროვნული რეკორდი – 39.4°C; ესპანეთში, ბილბაოში დაფიქსირდა 42.7°C, ხოლო დანიაში ახალმა რეკორდმა 37°C-ს მიაღწია. სიცხემ სერიოზული ზარალი მოუტანა ჯანმრთელობასაც, სხვადასხვა ქვეყანაში დაიღუპნენ ადამიანები.

პარალელურად, ივლისის დასაწყისში აშშ-ის 200 მილიონზე მეტი მოქალაქე „სიცხის გუმბათის“ ქვეშ აღმოჩნდა – მაღალმა ტენიანობამ ღამის ტემპერატურაც კი დაბლა არ ჩამოუშვა, რაც ორგანიზმისთვის დასვენების საშუალებას არ იძლევა.

გლობალური დათბობის ფონზე სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა: „რა ტემპერატურაზე შეწყვეტენ ჩვენი „სხეულის გაგრილების სისტემები“ არსებულ სიცხესთან გამკლავებას?“

ამ კითხვას მეცნიერება პირველად 2010 წელს შეეხო, როდესაც კლიმატოლოგებმა, სტივენ შერვუდმა (ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი, ავსტრალია) და მეთიუ ჰუბერმა (პერდიუს უნივერსიტეტი, აშშ) – ჟურნალ PNAS-ში გამოქვეყნებულ სტატიაში თეორიულად გამოთვალეს მაქსიმალური ტემპერატურა, რომელსაც ჯანმრთელი ადამიანი შედარებით დიდხანს გაუძლებდა. მათი დასკვნით, ადამიანისთვის უსაფრთხო ტემპერატურის ზღვარი „სველი თერმომეტრის მიხედვით“ (ანუ ოფლის აორთქლებით სხეულის გაგრილების გათვალისწინებით) არ უნდა აღემატებოდეს 35 გრადუსს (დღეს არსებულ კლიმატში ეს მაჩვენებელი არსად აღემატება 31 გრადუსს.)

ავტორების მთავარი არგუმენტი იყო, რომ ხშირად არასწორად ვვარაუდობთ, თითქოს, ადამიანებს ნებისმიერ დათბობასთან ადაპტირება შეუძლიათ – რეალურად, სითბური სტრესი ამ ადაპტაციას მყარ ზედა ზღვარს უწესებს.

ტენიანობა დიდ გავლენას ახდენს ჩვენი სხეულის უნარზე, შეინარჩუნოს კომფორტული ტემპერატურა სიცხეში – რაც უფრო მაღალია ის, მით უფრო ნელა აორთქლდება ოფლი და მით უფრო ცუდია გაგრილების პროცესი.

2022 წელს პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევრებმა (პროექტი PSU H.E.A.T. _ Human Environmental Age Thresholds) გადაწყვიტეს, ეს 2010 წლის თეორიული გამოთვლა პრაქტიკაში შეემოწმებინათ. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 24 ახალგაზრდა და სრულიად ჯანმრთელი მოხალისე.




## მეცნიერული კვლევა ცხადყოფს, რომ ზღვარი ბევრად დაბალია, ვიდრე გვეგონა

მონაწილეებმა გადაყლაპეს კაფსულა-თერმომეტრი, რომელიც მუდმივად აკონტროლებდა მათი სხეულის შიდა ტემპერატურას, შემდეგ კი ისინი მოათავსეს დალუქულ, კონტროლირებად კამერაში. ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის ნელ-ნელა აწევით, მეცნიერები აკვირდებოდნენ, როდის იწყებდა მონაწილეთა შიდა ტემპერატურა მუდმივ ზრდას – რა იყო წერტილი, რომელსაც „გარემოს კრიტიკული ზღვარი“ ეწოდება.

**„როდესაც ეს ზღვარი გადაილახება, შიდა ტემპერატურა იწყებს განუწყვეტლივ მატებას და ჯანმრთელობის პრობლემების რისკი, ხანგრძლივი სითბოს ზემოქმედებით, მნიშვნელოვნად იზრდება“** – განმარტავენ ავტორები.

კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში Journal of Applied Physiology, აჩვენებს, რომ მაღალი ტენიანობის პირობებში (36-40°C, 50-90% ტენიანობა) ახალგაზრდა და ჯანმრთელი ორგანიზმის უკონტროლო გადახურება იწყება უკვე **„სველი თერმომეტრის“ საშუალო ტემპერატურით, დაახლოებით, 30.5-31 გრადუს ცელსიუსზე, რაც თეორიულ 35 გრადუსზე მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელია. მშრალ და ცხელ პირობებში ზღვარი კიდევ უფრო დაბალი აღმოჩნდა – 25-28 გრადუსამდე – რადგან სველ პირობებთან შედარებით, მშრალ სიცხეში კანი უფრო სწრაფად თბება.**

მას შემდეგ, რაც პირველადი შედეგები გამოქვეყნდა, იმავე კვლევითმა ჯგუფმა კვლევა გააგრძელა და შეამოწმა, როგორ იცვლება ეს ზღვარი ასაკთან ერთად. 2024-2025 წლებში გამოქვეყნებულმა შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ სურათი კიდევ უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე თავდაპირველად ეგონათ:

**ახალგაზრდა, ჯანმრთელ ზრდასრულებში ფიზიოლოგიური ზღვარი მერყეობს დაახლოებით 26-31°C-ს შორის (სველი თერმომეტრით);**

**უფროსი ასაკის ადამიანებში ეს ზღვარი კიდევ უფრო დაბალია – 23-28°C.**

**ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სიცხის ტალღების დროს გარდაცვალების უდიდესი წილი სწორედ ხანდაზმულ მოსახლეობაზე მოდის, ხოლო მოსახლეობის დაბერების ტენდენციის გამო, ეს რისკჯგუფი მომავალში მხოლოდ გაიზრდება.**

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ექსტრემალური ამინდის პერიოდები – როგორც ცივი, ისე ცხელი – მნიშვნელოვნად გახშირდა მთელ მსოფლიოში. ექსპერტების აზრით, სანამ პლანეტა გააგრძელებს დათბობას – ძირითადად, წიაღისეული საწვავის წვისა და სათბურის გაზების ემისიის გამო – კლიმატური კატასტროფები უფრო ხშირად მოხდება და უფრო დიდხანს გაგრძელდება.

**მკვლევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ერთი უნივერსალური „ზღვარი“ ყველა კლიმატური პირობისთვის არ არსებობს – ის დამოკიდებულია არა მხოლოდ ტემპერატურასა და ტენიანობაზე, არამედ ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ფიზიკურ აქტივობაზეც. სწორედ ამიტომ, მათი თქმით, ასეთი მონაცემები მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემებისთვის – რათა შესაძლებელი გახდეს სიცხის ტალღების წინასწარ დაგეგმვა, მოწყვლადი მოსახლეობის პრიორიტეტულად მოვლა და გაფრთხილების სისტემების შემუშავება კონკრეტული ტემპერატურა-ტენიანობის ზღვრების მიხედვით.**

---

### ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე

# ჩატბოტები მედიცინის ცოდნაში მოიკოჭლებენ

**ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე მომუშავე პოპულარული ჩატბოტები სამედიცინო მოთხოვნებზე ხშირად მცდარ პასუხებს აგენერირებენ. სამეცნიერო ჟურნალ BMJ Open-ში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, უზუსტო პასუხების წილი 50%-ს უახლოვდება.**

კვლევის ფარგლებში ექსპერტებმა გააანალიზეს Gemini-ს, DeepSeek-ის, Meta AI-ს, ChatGPT-სა და Grok-ის მუშაობა. თითოეულ მათგანს დაუსვეს ათ-ათი კითხვა ონკოლოგიის, ვაქცინაციის, ღეროვანი უჯრედების, კვებისა და ფიზიკური აქტივობის შესახებ. მიღებული პასუხები შესაფასებლად გადაეცათ მეცნიერებს აშშ-დან, კანადიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

შედეგებმა აჩვენა, რომ პასუხების თითქმის ნახევარი (49,6%) ფაქტობრივ დამახინჯებებს შეიცავდა. მათგან 30% ნაწილობრივ უზუსტოდ იყო მიჩნეული, ხოლო 19% – მნიშვნელოვანი შეცდომების შემცველად. პასუხების საერთო ხარისხი სხვადასხვა მოდელში მსგავსი იყო, თუმცა Grok-მა ყველაზე ცუდი მაჩვენებლები აჩვენა – მან ყველაზე მეტი უხეში შეცდომა დაუშვა. ხელოვნური ინტელექტი ყველაზე სანდოდ ვაქცინაციასა და კიბოსთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხობდა. ყველაზე ცუდად კი ნეიროქსელებმა თავი კვების საკითხებს გაართვეს.

ჩატბოტები თითქმის ყოველთვის მაღალი დარწმუნებით აყალიბებდნენ პასუხებს და 250 შემთხვევიდან პასუხის გაცემაზე უარი მხოლოდ ორჯერ თქვეს. არცერთ სისტემას არ შეეძლო წყაროების სრულად კორექტული სიის წარდგენა. ხშირად ისინი ბმულებსა და წყაროებს თავად იგონებდნენ. მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ტექსტები აღქმისთვის რთული იყო და სირთულით უნივერსიტეტის მეორე კურსის მასალებს შეესაბამებოდა.




---

# რატომ ემართებათ ფილტვის კიბო ახალგაზრდებს, რომლებსაც არასოდეს მოუწევიათ?!

**ფილტვის კიბო ტრადიციულად თამბაქოს მოხმარებასთან ასოცირდება, თუმცა ბოლო წლებში მეცნიერების ყურადღება სულ უფრო მეტად მიიპყრო დაავადების შემთხვევებმა ახალგაზრდა ადამიანებში, რომლებსაც არასოდეს მოუწევიათ. ახალმა კვლევამ ამ ტენდენციის შესაძლო მიზეზებთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები გააჩინა.**

USC Norris Comprehensive Cancer Center-ის მკვლევრებმა შეისწავლეს 50 წლამდე ასაკის არამწეველი პაციენტები, რომლებსაც ფილტვის კიბო დაუდგინდათ. მათი დაკვირვებით, ამ პაციენტების ნაწილი უფრო მეტ ხილს, ბოსტნეულსა და მთლიან მარცვლეულს მოიხმარდა.

ერთი შეხედვით, შედეგი პარადოქსულია – ჯანსაღი კვება, როგორც წესი, კიბოსა და სხვა ქრონიკული დაავადებების რისკის შემცირებასთან არის დაკავშირებული. თუმცა მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პრობლემა თავად ხილი, ბოსტნეული ან მარცვლეული არ არის.

მკვლევრები ერთ-ერთ შესაძლო გარემო ფაქტორად საკვებში პესტიციდების ნარჩენების ზემოქმედებას განიხილავენ. მათი ვარაუდით, ჩვეულებრივი მეთოდებით მოყვანილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში პესტიციდების ნარჩენებთან ხანგრძლივმა კონტაქტმა შესაძლოა გარკვეული როლი შეასრულოს, თუმცა ამ ეტაპზე ამის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს.



კვლევის ფარგლებში მეცნიერებს კონკრეტულ საკვებ პროდუქტებში პესტიციდების დონე უშუალოდ არ გაუზომავთ. სავარაუდო ზემოქმედების შესაფასებლად მათ სხვადასხვა საკვები კატეგორიისთვის პესტიციდების საშუალო დონის შესახებ უკვე გამოქვეყნებული მონაცემები გამოიყენეს. სწორედ ამიტომ, მკვლევრები ამბობენ, რომ შედეგები წინასწარია და დამატებით შესწავლას საჭიროებს.

კვლევის ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება ახალგაზრდა ქალებსაც ეხება. მკვლევართა ინფორმაციით, 50 წლამდე ასაკის არამწეველ ქალებში ფილტვის კიბოს შემთხვევები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამავე ჯგუფში ქალები საშუალოდ უფრო მეტ ხილს, ბოსტნეულსა და მთლიან მარცვლეულს მოიხმარდნენ, ვიდრე მამაკაცები. თუმცა ეს მონაცემები არ ადასტურებს, რომ კვების ეს პროდუქტები კიბოს გამომწვევია.

მეცნიერები ახლა გეგმავენ კვლევის გაგრძელებას და პაციენტების სისხლსა და შარდში პესტიციდების დონის უშუალოდ გაზომვას. ამ გზით შესაძლებელი გახდება იმის გარკვევა, არსებობს თუ არა რეალური კავშირი კონკრეტული ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებასა და ახალგაზრდა არამწეველებში ფილტვის კიბოს განვითარებას შორის. სპეციალისტები მოსახლეობას ხილისა და ბოსტნეულის მიღების შემცირებისკენ არ მოუწოდებენ. კვლევის შედეგები ამ ეტაპზე არ იძლევა საფუძველს იმის სათქმელად, რომ ჯანსაღი საკვები ფილტვის კიბოს რისკს ზრდის. მთავარი საკითხი, რომლის გარკვევასაც მეცნიერები ცდილობენ, არის შესაძლო გარემო ზემოქმედება – მათ შორის პესტიციდები, ჰაერის დაბინძურება, რადონი და სხვა ფაქტორები.

# მადლს მარილი... თოვლში მოაყარეს

**მართალია, ამასწინანდელ საშინაო მსოფლიო თასზე წარუმატებელი გამოსვლით უმცროსმა გორჯალოსნებმა კარგა გვარიანად გაგვაწბილეს, მაგრამ საერთაშორისო სარაგბო სტრუქტურების ბოსების მხრიდან თბილისურ-ქუთაისური ფორუმის საორგანიზაციო საკითხების უმაღლეს შეფასებას უპრეცედენტო სიმბოლური დატვირთვის აქტივობა მოჰყვა.**

საუბარია გუნდის მიერ 5054 მეტრ სიმაღლეზე განხორციელებულ მყინვარწვერის ტრავერსზე, რომელიც ურთულეს კლიმატურ პირობებში მოეწყო და ორად გაყოფილი ნაკრების წევრთა 7-კაცას თამაშით თოვლზე დაგვირგვინდა!




დავძენთ, რომ უჩვეულო ექსპედიციას საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **დავით კაჭარავა** თავკაცობდა, ღონისძიების კულმინაციას კი ყინულის სამეფოში მსოფლიო თასის ატანა წარმოადგენდა!



# რაღაც დალპა დიღმის ბაზაზე...

**თხემით ტერფამდე დინამოელ თემურ ქეცბაიას საფიცარი კლუბის სიყვარული ნამდვილად არ ესწავლება, მაგრამ, ეტყობა, რამდენიმე თვეში ვერ მოასწრო შეგირდთათვის ბოლომდე აეხსნა, თუ რას ნიშნავს საკულტო თეთრ-ლურჯი მაისურით თამაში, მით უმეტეს — საერთაშორისო სარბიელზე, სადაც მათ წინამორბედებს საუკუნოვანი ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი.**

**ჟალგირისი — დინამო 7:2**
**პირველი ტაიმი 1:1**

ჯერ ის ვიკითხოთ, რატომ შეეგუა ასე ადვილად ქვეყნის ყველაზე პოპულარული და ტიტულოვანი კლუბი რანგით უსუსტეს — კონფერენს ლიგაზე სისტემატურ გამოსვლას (ვაი ასეთ გამოსვლას)? დაგვეთანხმებით, ეს მხოლოდ ფეხბურთელთა და მათ მწვრთნელთა ბრალი არ უნდა იყოს და საფუძვლიან მსჯელობას მოითხოვს. სხვათა შორის, ამ მეტოქესთან საკავშირო ჩემპიონატებში შთამბეჭდავი ბალანსი გვქონდა: 10 გამარჯვება, 4 ფრე და მხოლოდ 4 წაგება.

სიღრმისეული პრობლემების ფონზე წვრილმანებად მოჩანს ის ფაქტორები, სამამულო ფეხბურთის უპირობო ლიდერს მორიგი შავი დღე რომ გაუთენა: დაცვის ტრავმირებულ ბურჯ **უგრეხელიძის** არყოფნა ან თუნდაც ხელოვნურსაფარიანი უთანასწორო ბრძოლის ველი, სადაც ერთ დროს მოსკოვის მანეჟში თვით მრისხანე სპარტაკს ვძლიეთ. აღარაფერს ვამბობთ ისტორიულ ანტირეკორდზე — ერთბაშად 7 გაშვებულ გოლზე, მათ შორის მე-2 ტაიმში — ექვსზე(!) და ვეტერანი მეკარის **გიორგი ლორიას** ჩაშხამებულ ხანგრძლივ კარიერაზე.

ჰოდა, გაუქარწყლონ ზოგ-ზოგიერთებმა გულშემატკივრებს ეჭვები — ყოვლისშემძლე ტოტალიზატორში ხომ არ არის ძაღლის თავი ჩამარხული?

# არც უეფაა უსოდველი კრავი

**გაისად 18 მარტს რაბათში (მაროკო) ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული, მანამდე კი საფეხბურთო სამყარო ინტერესით ადევნებს თვალყურს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ახლახან გოგოლათა შორის აგორებული სკანდალის ირგვლივ.**

კერძოდ, უეფამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც კერძო ინვესტორებზე მსოფლიო ჩემპიონატის უფლებების გაყიდვის შემთხვევაში ფიფას ტურნირებისთვის ბოიკოტის გამოცხადების განზრახვის შესახებ იუწყება:

**„უეფა და მისი 55 ეროვნული ასოციაცია, ერთიანი ფრონტით გამოდიან. კერძო ინვესტორებისთვის მუნდიალსა და ფიფას სხვა ტურნირებზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე ფიფას წინადადებას ჩვენ ერთსულოვნად და ცალსახად უარვყოფთ.**

**მსოფლიო ჩემპიონატი საინვესტიციო პროდუქტად ვერ განიხილება. ეს არის ფეხბურთის უდიდესი სპორტული მემკვიდრეობა, რომელიც მოთამაშეთა, ეროვნულ ნაკრებთა და ქომაგთა თაობებმა შექმნეს. ის არ იყიდება.**

**უპასუხისმგებლობაა და მიუტევებელია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი წინადადება ფარულად შემუშავდა და დამტკიცების ზღვრამდე თამაშის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან კონსულტაციების გარეშე მივიდა. ეს ლიდერობის კრახი კი არა, მსოფლიო ფეხბურთის მცველის მოვალეობებზე ფიფას მხრიდან უარის თქმაა.**

**იმ მომენტიდან, როდესაც გარეშე ინვესტორები ფიფას ტურნირებში წილს მიიღებენ, ფეხბურთი სამუდამოდ შეიცვლება. კომერციული მოგება მუდმივ ვალდებულებად იქცევა, ინვესტორთა მოლოდინები კი — ყოველდღიურ ზეწოლად. კალენდრის, ფორმატისა და ფეხბურთის მომავლის შესახებ მიღებული თითოეული შემდგომი გადაწყვეტილება განისაზღვრება არა იმით, რაც თამაშს, არამედ იმით, რაც აქციონერებს ემსახურება.**

**ამ მოდელს მსოფლიო ფეხბურთში ადგილი არა აქვს. ფეხბურთის მომავალი იმ ადამიანთა მოლოდინებით ვერ იკარნახება,**




**რომელთა მთავარი მოვალეობაც ფინანსური უკუგების მაქსიმიზაციაა. ფეხბურთი საკუთარ მომავალს ფინანსური სარგებლის გამო ვერ დააგირავებს.**

**ევროპის პოზიცია ნათელია. ჩვენ ამ მოდელს ლეგიტიმურად არასდროს ვაღიარებთ. არავის აქვს იმის გაყიდვის მორალური უფლება, რასაც მომავალი თაობისთვის მხოლოდ დროებით ინახავს.**

**დღევანდელი მსჯელობის შედეგად უეფას არცერთი ეროვნული გუნდი ფიფას არცერთ შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მიიღებს მანამ, სანამ ეს წინადადება ძალაში რჩება — თუკი ამ წინადადებაზე საბოლოო უარი არ ითქმება და არ გაიცემა სავალდებულო გარანტიები იმისა, რომ ფიფა საკუთარ მმართველობას ან შეჯიბრებებს კერძო საკუთრებისთვის აღარასოდეს გახსნის.**

**ეჭვი არავის ეპარებოდეს, რომ უეფა და მისი ეროვნული ასოციაციები ამ გეგმებს აბსოლუტური შემართებით დაუპირისპირდებიან. ზოგიერთი რამ უბრალოდ ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გაიყიდოს. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთს ეკუთვნის. ვიდრე ევროპას ხმა აქვს, ის არასდროს გაიყიდება"** — ნათქვამია **უეფას** განცხადებაში.

იმავე დღესვე ფიფასთვის ბოიკოტის გამოცხადებაზე მუშაობა დაიწყეს კონკაკაფმა და აზიის საფეხბურთო კონფედერაციამ. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნულ ბოიკოტს უკვე მხარი დაუჭირეს ევროპის წამყვანმა საფეხბურთო ლიგებმაც.

გარდა ამისა, გამოცემა „პოლიტიკოს" ინფორმაციით, ევროპული საფეხბურთო ასოციაციები 2027 წლის არჩევნებში ფიფას მოქმედი ხელმძღვანელის **ჯანი ინფანტინოს** პოტენციურ მეტოქედ ფრანგული პარი სენ-ჟერმენის პრეზიდენტს **ნასერ ალ ხელაიფის** განიხილავენ და მხარსაც მის კანდიდატურას დაუჭერენ. შეგახსენებთ, რომ კომპანია „კატარ სპორტ ინვესტმენტსის" თავკაცი პარიზულ გრანდს 2011 წლიდან უდგას სათავეში, 2021 წლიდან ევროპული კლუბების ასოციაციის თავმჯდომარეა, უეფას აღმასკომის წევრია და ფიფას საბჭოში ევროპული კლუბების ასოციაციას წარმოადგენს, ხოლო შვეიცარიელი მაღალჩინოსანი ფიფას 2016 წლიდან უძღვება.

რაც შეეხება დაპირისპირებას, მის ეპიცენტრში კომერციული სტრუქტურა „ფიფა ფორვარდ ენთერფრაიზის" შექმნის თაობაზე ფიფასეული გეგმა დგას. ორგანიზაციის მმართველთა ჩანაფიქრით, ახალი სტრუქტურა ტურნირებზე, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატზე კომერციულ უფლებებს მიიღებს. პროექტის დაფინანსების მიზნით ფიფა სტრუქტურის აქციების დაახლოებით 20 პროცენტის გაყიდვის ხარჯზე 4 მილიარდზე მეტი დოლარის მოზიდვას გეგმავს. ინიციატივის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ჯანი ინფანტინომ საფეხბურთო ფედერაციებს დამატებითი სუბსიდიები შესთავაზა...

ვნახოთ, როგორ გაიხსნება კვანძი, მანამდე კი აქტუალურად გვესახება კითხვა: ხომ არ არის წლევანდელი ცხელი კომერციულ-საფეხბურთო ზაფხული ჯანი ინფანტინოსა და აშშ-ის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** ინტენსიური კურკურის შედეგი?

**გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ფიფას მოქმედმა პრეზიდენტმა გაითვალისწინა ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს საფუძვლიანი პროტესტი და დროებით(?) შეაჩერა შემოთავაზებული პროექტის განხორციელების პროცესი. ანუ, რა გამოდის? — თან ალოკა გადაფურთხებული და თანაც იმედს არ ჰკარგავს? სწორედ ამას ჰქვია გველაძუობა!**

# მეფური სტაჟი

**„ფილადელფიაში" გადასულ „მეფეს" ლებრონ ჯეიმსს დეკემბერში 42 წელი უსრულდება, თუმცა როგორც ლეგენდარული მსუბუქი ფორვარდის აგენტი რიჩ პოლი, —** ახსადებს, მისი კარიერის დასრულებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

**„ვფიქრობ, ახალი კლუბი უზერებელ ვარსკვლავს დამატებით ენერგიას შემატებს და, შესაძლოა, მან კიდევ 4 სეზონის განმავლობაშიც კი ითამაშოს".**

„სიქსერზთან" კონტრაქტის გაფორმება ნბა-ს 4-გზის ჩემპიონს ავტომატურად გუნდის ისტორიაში ყველაზე ასაკოვან წევრად აქცევს და როგორც კი იქაურ პარკეტზე გავა, მაშინვე გააუმჯობესებს **ნეთ ჰარლის** ძველ მიღწევას — 1954-1955 წლებში იგი 40 წლისა და 138 დღის ასაკში ასპარეზობდა. დავძენთ, რომ მოახლოვდა „მეფის" ახალი აბსოლუტური რეკორდიც — დამდეგი სეზონი მისთვის ნბა-ში 24-ე(!) იქნება, რაც ხანგრძლივობით უმაგალითოა.

# სინქრონული მშვენიერება

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, სინქრონული ციგურაობა საფრანგეთის ალპებში გასამართავი 2030 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამის ნაწილი გახდა. ტურნირზე თითოეული გუნდი 9 მოციგურავის შემადგენლობით იასპარეზებს.**



ციგურაობის საერთაშორისო კავშირის (ISU) პრეზიდენტმა, **ჩუე ელ კიმმა,** IOC-ის ამ ნაბიჯს ისტორიული უწოდა: **„დღეს მართლაც ისტორიული დღეა სინქრონული ციგურაობისთვის. ძალიან ვამაყობთ, რომ Synchro9-მ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ISU-ს საციგურაო დისციპლინების ოჯახში დაიმკვიდრა ადგილი. ამ გადაწყვეტილებამ სინქრონული ციგურაობის ათასობით წარმომადგენლისა და მილიონობით გულშემატკივრის ოცნება აასრულა.**

სპორტსმენებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი ნიჭი ზამთრის სპორტის უდიდეს სარბიელზე — 2030 წლის ალპების თამაშებზე წარმოაჩინონ.

Synchro9 აერთიანებს ყველაფერს, რაც სინქრონულ ციგურაობას ასე განსაკუთრებულს ხდის: გუნდურ მუშაობას, სიზუსტეს, კრეატიულობასა და მხატვრულ ერთიანობას.

**ოლიმპიური პროგრამის გამრავალფეროვნებით, სინქრონული ციგურაობა ხელს შეუწყობს თამაშების დინამიკურობის, აქტუალურობისა და მომავალი თაობებისთვის შთაგონების შენარჩუნებას. მადლობას ვუხდით IOC-ს გამოცხადებული ნდობისთვის და მოუთმენლად ველით ამ ახალი ისტორიული ფურცლის ერთად დაწერას",** — განაცხადა **კიმმა.**

## სირცხვილი და თავის მოჭრა!

# გულდასაწყვეტია და მერე როგორ?..

**მართლაც გულდასაწყვეტია, როდესაც საკუთარ მოედანზე სამი გურთის სხვაობით იგებ თამაშს, დაიმედებული გულშემატკივარი შემდეგ წრეზე გასვლით გეგმებს აწყობს და... 7:2 აგებ საპასუხო მატჩს!**

მართლაც გულდასაწყვეტია, როდესაც ქვეყნის პირველ გუნდს სათავეში უდგას ისეთი პროფესიონალი, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული და მწვრთნელის რანგში დიდი გამოცდილების მქონე თემურ ქეცბაია და მის თავგამოდებასაც ვერ აფასებ შესაბამისად, სწორედ თემურის ხელმძღვანელობამ და ახალგაზრდა ფეხბურთელთა, კერძოდ თორნიკე კვარაცხელიას იმედისმომცემმა თამაშებმა, მოგვცეს იმედი, რომ „ჟალგირისს" იოლად ვძლევდით.

ქართველი გულშემატკივრები გაოგნებულნი შევცქეროდით ჩვენი ფეხბურთელების უსუსურ და უგერგილო თამაშს, რომელიც ქომაგთა მართლაც დაცინვის, ღალატის ტოლფასი იყო. როდემდე უნდა დავრჩეთ ასე: ხელჩაქნეულნი და იმედგაცრუებულნი ჩვენი გუნდის თამაშით? იქნებ სპორტის სამინისტრომ, „დინამოს" ხელმძღვანელებმა ახლა მაინც „გამოიღვიძონ" და დინამოს შემორჩენილ ქომაგებს რაიმე იმედი მოგვცენ?.. იქნებ გზა ახალგაზრდა ფეხბურთელებს დავუთმოთ?..

სირცხვილი და თავის მოჭრა... არავინ ველოდით ამას!

გულშემატკივარი ტელემაყურებლები:
მალხაზ იაშვილი,
თამაზ კიკნაძე,
გურამ მჭედლიშვილი



# რემა ღვამიჩავა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** საქართველოს ეროვნული სკრინინგცენტრის ხელმძღვანელის, მეცნიერის, პროფესორ **რემა ღვამიჩავას** გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

**მწუხარებას გამოვთქვამ საქართველოს ეროვნული სკრინინგცენტრის ხელმძღვანელის, მეცნიერის, პროფესორ რემა ღვამიჩავას გარდაცვალების გამო, ქართული სამედიცინო საზოგადოებისათვის მისი გარდაცვალება მძიმე დანაკლისია. სწორედ რემა ღვამიჩავას სახელს უკავშირდება საქართველოში სხივური მედიცინის დანერგვა და ეროვნული სკრინინგცენტრის ჩამოყალიბება. მისი აღზრდილი ექიმთა არაერთი თაობისათვის იგი მუდამ დარჩება პროფესიონალიზმის, საქმისადმი ერთგულებისა და კეთილსინდისიერების სანიმუშო მაგალითად. თანავუგრძნობ ოჯახს, მეგობრებსა და სამედიცინო საზოგადოებას.**

ირაკლი კობახიძე



## ბათუმში 10 კილოგრამამდე სხვადასხვა სახის ნარკოტიკი ამოიღეს, დაკავებულია ხუთი პირი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, რეალიზაციის ხელშეწყობისა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირების ბრალდებით სხვადასხვა დროს ბათუმში ხუთი პირი დააკავეს, მათ შორის ერთი საქართველოს და ოთხი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.**

სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი დროებითი საცხოვრებელი ბინებისა და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ასევე მათ მიერ მითითებული ადგილებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: 100 გრამი და 127 შეკვრად დაფასოებული □მეთადონი□, ერთ კილოგრამზე მეტი □მარიხუანა□, ნახევარ კილოგრამამდე □ტეტრაჰიდროკანაბინოლი□ და 8 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე □კანაფი□.

პოლიციის მიერ ასევე ნივთმტკიცებად ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების დაფასოებისთვის საჭირო მასალები. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 260-ე კვარტა და 265-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## თაღლითობა — ფულის შოვნის ნაცადი ხერხი...

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლად ასაღებდა თავს და თბილისში მცხოვრებ პენსიონერებს უკავშირდებოდა და კომუნალურ შეღავათებთან დაკავშირებით მათ პირად მონაცემებს უკანონოდ ეუფლებოდა. ამის შემდგომ ბრალდებული იმავე პირებს ეროვნული ბანკის წარმომადგენლის სახელით კვლავ უკავშირდებოდა, ატყობინებდა, თითქოს მათი საბანკო ანგარიშები დაბლოკვისა და ანგარიშებზე არსებული თანხები ჩამორთმევის საფრთხის წინაშე იყო. აღნიშნულის თავიდან აცილების საბაბით მოქალაქეებს სთავაზობდა, ნაღდი ფული წარმომავლობის დადგენის მოტივით მის მიერ გაგზავნილი შუამავლისთვის გადაეცათ. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად ბრალდებული მოქალაქეების კუთვნილ 48 983 ლარს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მამაკაცი, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

## გონიოში მამაკაცი მოძრავი მანქანის საბარგულიდან გადმოვარდა და დაიღუპა



**არსებული ინფორმაციით, მამაკაცი მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

სულთათანა




## სტუ-ის რექტორი პროფესორ გურამ ქაშაკაშვილის გარდაცვალების გამო ოჯახსა და კოლეგებს სამძიმარს უცხადებს

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, საუნივერსიტეტო საზოგადოების სახელით მწუხარებას გამოთქვამს უნივერსიტეტის ემერიტუსის, გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის გურამ ქაშაკაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ქაშაკაშვილების ოჯახს, კოლეგებსა და აღზრდილებს.**

**სამძიმრის წერილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავრცელებს.**

**□გურამ ქაშაკაშვილის წასვლა მძიმე დანაკლისია როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, ისე ქართული მეცნიერებისა და საინჟინრო საზოგადოებისთვის. მან თავისი მრავალწლიანი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქვეყნის განვითარებას, საინჟინრო განათლების გაძლიერებასა და მეტალურგიის დარგის წინსვლას მიუძღვნა.**

**იგი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული პროფესორი და ემერიტუსი, საქართველოს IV მოწვევის პარლამენტის წევრი, 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 65 გამოგონების ავტორი. მისი პროფესიული გზა არაერთი მაღალი სახელმწიფო ჯილდოთი და ღირსეული აღიარებით აღინიშნა, თუმცა ყველაზე დიდი მემკვიდრეობა ის ცოდნა, გამოცდილება და ადამიანური ღირსებებია, რომლებიც მან თავის სტუდენტებს, კოლეგებსა და მომავალ თაობებს დაუტოვა.**

**გურამ ქაშაკაშვილის ღვაწლი არაერთი მაღალი სახელმწიფო ჯილდოთი და ღირსეული აღიარებით აღინიშნა. იგი იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, დამსახურებული გამომგონებელი, ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის მფლობელი. ეს ჯილდოები მისი განსაკუთრებული პროფესიონალიზმის, მეცნიერული მიღწევებისა და ქვეყნის განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის დასტურია.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ბატონი გურამ ქაშაკაშვილი იყო არა მხოლოდ გამორჩეული მეცნიერი და პედაგოგი, არამედ მაღალი პროფესიული ეთიკის, პრინციპულობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაგალითი. მისი სახელი ღირსეულ ადგილს დაიკავებს უნივერსიტეტის ისტორიაში, ხოლო მისი მეცნიერული მემკვიდრეობა მომავალ თაობებს კიდევ მრავალი წლის განმავლობაში მოემსახურება.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ბატონი გურამ ქაშაკაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებსა და აღზრდილებს. გურამ ქაშაკაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ქართული საინჟინრო მეცნიერების ისტორიაში□** — აღნიშნულია სამძიმრის წერილში.

---

**ბიძინა და დარეჯან სონღულაშვილები, დავით და იოსებ სონღულაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ქართული მეტალურგიის ამღორძინებელი, მეცნიერი და ენციკლოპედისტი, მეტალურგთა თაობების აღმზრდელი, აღიარებული პედაგოგი, კეთილშობილი და უანგარო პიროვნება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

# გურამ ქაშაკაშვილი

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს.**



# ვითარცა უმწეო და ნაზი ია

**ქართული ესტრადის ლეგენდა ნანი ბრეგვაძე ერთ-ერთ ინტერვიუში იგონებს:**

**„მე შევხვდი მერაბ მამალაძეს, კარგი გარეგნობის მქონე კარგ ვაჟკაცს, სასიქადულო ოჯახის შვილს შეგვიყვარდა ერთმანეთი და შეგვეძინა ეკა, ჩვენი სიყვარულის ნაყოფი. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, ჩემი ოჯახისთვისაც სასურველი და მისაღები სიძე გახლდათ. ხშირად გასტროლებზეც დამყვებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ვერ გაუძლო ცოლის პოპულარობას და კამათისა და დავიდარაბის გარეშე დავცილდით ერთმანეთს. მერე მერაბი დაიჭირეს.“**

ამ გულწრფელმა ციტატამ ერთი ცხოვრებისეული ეპიზოდი გამახსენა.

ჩემი ძმა თამაზი (ჭიჭოლა) რუსთავში სასჯელს იხდიდა და მის სანახავად ჩავედი. ერთ წყნარ საღამოს ვაკის პარკში ხალხი ოჯახებით დასეირნობდა. მილიციელი, რომელმაც რაღაც უსაქციელობის გამო თამაზს შენიშვნა მისცა და საქვეყნოდ წესრიგისკენ მოუწოდა, გალახა, დაიჭირეს და ციხეში გამოამწყვდიეს. ის მაშინ 17 წლის იყო.

ე.წ. „სვიდანიის“ ოთახში უამრავი ხმამაღლა მოყაყანე, სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოების და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ირეოდა. გამაყრუებელ ხმაურსა და თამბაქოს კვამლში ადამიანების გარჩევა ჭირდა. მოსაცდელში ძალიან მძიმე და ჩახუთული ჰაერი იყო. იდგა კოლონიის სპეციფიკური და მწკლარტე სუნი. სუნთქვა ძალიან ჭირდა.

უცებ თვალი მოვკარი ნანი ბრეგვაძის მეუღლეს, ჩემს მეგობარ მერაბ მამალაძეს. მამალომ რომ დამინახა, გამიღიმა, ხელი ამიწია და ჩემსკენ გამოქანდა. ერთმანეთს ჩავეხუტეთ, მოვეფერე, გავამხნევე.

მამალოს დედას შვილიშვილი, ოთხი-ხუთი წლის მაღალი, გამხდარი, ლამაზი ეკა მოუყვანია მამის სანახავად. ბავშვი უჩვეულო გარემოს შეუშინებია და ფერწასული ბებოს ეკვროდა, თან ეჭვიანად ათვალიერებდა შავ „ტელეგრეიკიან“ მაღალ და გამხდარ კაცს – მამას, რომელიც ნაზად ეფერებოდა და ეჩურჩულებოდა თავის პატარა ანგელოზს.

გაოგნებულ ბავშვს შექმნილი მდგომარეობისთვის ალღო ვერ აეღო და აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ეტყობა, ვერაფრით გარკვეულიყო რატომ მოიყვანეს აქ, ან მამამისს აქ რა უნდოდა, ან საერთოდ რატომ უნდა ყოფილიყო ეს უცნობი თავგადახოტრილი კაცი მამამისი.□

მერაბი სრულიად შემთხვევით მოხვდა გაუგებრობაში, მაგრამ სამართალმა პური ჭამა და მალე გაათავისუფლეს.

ნანის და მერაბის მშვენიერი გოგონა ეკა, რომელიც შემდგომში სახელგანთქმული მომღერალი გახდა, ნაღვლიან და მოქუფრულ გარემოში ისე მოჩანდა, როგორც ნარეკლიან ბარდებს შორის ამოწვერილი, შემკრთალი, უმწეო და ნაზი ია.

წლების შემდეგ მშვენიერი და საყოველთაოდ აღიარებული ეკა ჩემი ბიძაშვილის, ცნობილი პედაგოგის ტატულია მარგველაშვილის საყვარელი რძალი გახდა.

ჩემი ძმა ჭიჭოლა და მამალო კი სიცოცხლის ბოლომდე ერთმანეთთან ერთგულად, სანიმუშოდ მეგობრობდნენ.

**ომარ მარგველაშვილი,**

**საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.**

# უძველესი მესხური ტრადიცია „კალოობა“ გაცოცხლდა

**ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის მიმდებარედ, ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო მესხეთში გავრცელებული მარცვლეული კულტურის, □ახალციხის წითელი დოლის□ ტრადიციული წესით აღება.**

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მესხური მრავალჟამიერის ფონზე ადგილზე დაეგემოვნებინათ წითელი დოლის პური, ტენილი ყველი, ტრადიციული მესხური ღვინო, ყაურმა, მესხური ლუხუმი და სხვა ადგილობრივი ნაწარმი.

**□კალოობა□ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა, იდეა კი ადგილობრივ მეწარმეს ზაზა ივანიძეს ეკუთვნის. როგორც ახალციხის მერმა ვარლამ წიკლაურმა აღნიშნა, ღონისძიების მიზანია მესხეთის უძველესი ტრადიციების გაცოცხლება, კულტურული და აგრარული მემკვიდრეობის შენარჩუნება.**





# თამაზ (გია) ჯაფარიძის 70 წლის იუბილეს მშობლიურმა ონმა უმასპინძლა

**გიგა ჯაფარიძის სახელობის ონის კულტურის სახლში, ონის საპატიო მოქალაქის, თბილისის სანდრო ახმეტელის სახელმწიფო დრამატული თეატრის დამსახურებული მსახიობის თამაზ (გია) ჯაფარიძის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.**

საღამო მსახიობის მრავალწლიან შემოქმედებით მოღვაწეობასა და ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს მიეძღვნა.




# შეკვეთილის მუსიკოსთა პარკი ქართული ჩაის ფესტივალს უმასპინძლებს

**9 აგვისტოს შეკვეთილის მუსიკოსთა პარკი ქართული ჩაის ფესტივალს უმასპინძლებს,** – ინფორმაციას ოზურგეთის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ღონისძიება ოზურგეთის მერიის მხარდაჭერით გაიმართება.

**„ფესტივალი 14:00 საათზე გაიხსნება და მოეწყობა: მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, სამეწარმეო ბაზარი, ფოტოგამოფენა, ჩატარდება ქართული ჩაის დამზადების მასტერკლასები, ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ მოუსმინონ გურულ ფოლკლორს, ოზურგეთის მერიის სახელით, მადლობას ვუხდით □ბლეჟ სი არენასა□და □მუსიკოსთა პარკის“ ადმინისტრაციას მხარდაჭერისთვის!**






# გასტრონომიული ფესტივალი „გემოფესტი“ შეკვეთილში

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, შეკვეთილში, მუსიკოსთა პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გასტრონომიული ფესტივალი □გემოფესტი□ გაიმართა.**

ადგილზე მოწყობილი იყო სამეწარმეო ბაზარი, ღვინისა და კვების პავილიონი, დესერტების სივრცე, ჩაის პავილიონი, აგროზონა, საბავშვო სივრცე, გრილისა და ბარის ზონები. გასტრონომიული ფესტივალის მონაწილეებს წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ტრადიციული, ასევე იშვიათი და ნაკლებად ცნობილი გურული კერძები.

**ფესტივალში მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეებიც. □გემოფესტის□მუსიკალურ პროგრამას დიჯეები და ბენდი აფორმებდა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 6 აგვისტოს**